საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.

ორშაბათი, 4 აპრილი. 2022 წ. №45 (9383) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

„ქართველის ჭირსა ვერვინ მოთვლის“!

ამაზრზენი და ანტისახელმწიფოებრივი...

„დანილოვის ეს განცხადება როყიოდ წარმოთქმული სიტყვები არაა. ეს არის დიდი სცენარის ერთ-ერთი ნაწილი“

უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრ დანილოვის მოწოდებას — საქართველოში ფრონტის მეორე ხაზის გახსნასთან დაკავშირებით, თბილისში სხვადასხვა პოლიტიკური შეფასებები მოჰყვა. ამ განცხადებას მმართველი პარტიის თავმჯდომარე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების უკრაინაში ვიზიტს უკავშირებს.

ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველო აფხაზ და ოს თანამემამულეებთან იარაღის ენით საუბარს არასდროს დააპირებს. მმართველი გუნდის ლიდერი რეინტეგრაციის ერთადერთ გზად დიპლომატიას მიიჩნევს და ამბობს, რომ გეოპოლიტიკური კრიზისის დროს, საქართველო მზადაა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს სოციალური დახმარებაც კი აღმოუჩინოს.

ომში მყოფი ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივნის მოწოდება „ნაცმოძრაობაში“ „ხუმრობად“ შეაფასეს და საერთოდ, ფიქრობენ, რომ დანილოვის სიტყვების აღქმა ომის ახალ კერებთან დაკავშირებით, ინტერპრეტირებულად მოხდა. უკრაინელი მაღალჩინოსნის განცხადების შინაარსში პრობლემას ვერც „სტრატეგია აღმაშენებელში“ ხედავენ.

ოპონენტების ნაწილისა და უკრაინელი პოლიტიკოსის განცხადებების შინაარსი ანტისახელმწიფოებრივად ჟღერს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებისთვის.

უკრაინა უკვე თვეზე მეტია ფართომასშტაბიან რუსულ სამხედრო აგრესიას იგერიებს. ორი დღის წინ ქვეყნის უშიშროების საბჭოს მდივანმა პირდაპირ თქვა, რომ უკრაინის მდგომარეობა შესაძლოა საქართველოსა და მოლდოვაში ახალი სამხედრო კერების გაჩენის შემდეგ შემსუბუქდეს.

ამის პარალელურად, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** თბილისის საქალაქო სასამართლოში ქართველ ხალხს ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდა.

მან 7 ნოემბრის საქმეზე გამართულ პროცესზე განაცხადა, რომ საქართველოს ერთადერთი გადარჩენა არის მობილიზაციაში, საქართველოს გამოფხიზლებაში, ერთად დგომაში. აღნიშნული განცხადების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა სასამართლო პროცესი დატოვა.

„ჩვენ ამ მთავრობას თუ არ მოვაშორებთ, თუ ჩვენ არ მოვახერხებთ ხალხის მობილიზაციას, თუ ჩვენ, ყველანი არ გამოვალთ ქუჩებში, თუ ჩვენ მშვიდობიანად არ შევცვლით საქართველოში სიტუაციას, თუ ჩვენ არ მოვახერხებთ საქართველოში ამათ ჩამოშორებას ხელისუფლებისგან, საქართველო დაღუპულია. საქართველოს ერთადერთი გადარჩენა არის მობილიზაციაში, საქართველოს გამოფხიზლებაში, ერთად დგომაში, ხელის ჩაკიდებაში. დავამთავროთ პარლამენტარობანას თამაში — „ჩვენ ამ მთავრობას ვაიძულებთ“, „ამ მთავრობას გავაკეთებინებთ“... რას გააკეთებინებთ, ვის გააკეთებინებთ, მოღალატეები არიან,

პირდაპირი აგენტები არიან. მხოლოდ ამ მთავრობის ჩამოშორებით, მხოლოდ ამ მთავრობის ჩამოგდებით, მხოლოდ მასობრივი აქციებით, მხოლოდ მასობრივად ხელის ჩაჭიდებით ვერ დაგარბევენ.

ნუ გეშინიათ პოლიციის. გაისვრიან ერთი-ორჯერ რეზინის ტყვიას, იმ რეზინის ტყვიას შევაჩერებთ. ხალხო, ნუ გეშინიათ, აქ არაფერ შუაშია პარტიები, სააკაშვილი არაფერ შუაში არ არის. დაივიწყეთ ყველაფერი ეს. მიუხედავად მათი რეზინის ტყვიებისა, რუსული მეთოდებისა, ვიქნებით ბევრნი, ვიქნებით ყველგან, არ დავიხევთ უკან. ჩვენ მათ აუცილებლად ჩამოვაშორებთ ხელისუფლებას“, — სულმოუთქმელად გაჰყვიროდა მიხეილ სააკაშვილი. პროკურატურაში კი განაცხადეს, რომ მიხეილ სააკაშვილის მოწოდებებთან დაკავშირებით უწყება გამოძიებას დაიწყებს.

იხ. 2 გვ.

პრემიერ-მინისტრმა აჭარით დაიწყო

ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონებში ვიზიტები დაიწყო, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნინო გიორგობიანი ავრცელებს.

„გახსოვთ, წინა წელს პრემიერ-მინისტრი 63-ვე მუნიციპალიტეტში იმყოფებოდა, სადაც მოსახლეობისგან პრობლემების შესახებ მოისმინა, შესაბამისი დავალებები გასცა და დაპპირდა, რომ პირადად გაეცნობოდა შედეგებს. გუშინ პრემიერი აჭარას ეწვია და მიმდინარე პროექტებს გაეცნო“.

ირაკლი ღარიბაშვილი: მინდა გთხოვოთ ყველას, რომ გარდაცვლილი სამხედროების სიკვდილით ნუ შეეცდებით გარკვეული დივიდენდების მიღებას!

„მე სამძიმარს ვუცხადებ ყველა გარდაცვლილის ოჯახს, მათ ოჯახის წევრებს. მინდა ჩემი გულის ტკივილი გამოვხატო კიდევ ერთხელ. სახელმწიფომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მათი ჩამოსვენება, დაკრძალვა ღირსეულად მომხდარიყო, ისე, როგორც შეეფერებოდა სამხედრო ყოფილ ოფიცრებს და ვეტერანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ტერიტორიის დაცვისთვის წარმოებულ ომებში იღებდნენ მონაწილეობას. მე კიდევ ერთხელ მინდა გთხოვოთ ყველას, ჟურნალისტებს და პოლიტიკოსებს, რომ გარდაცვლილი სამხედროების სიკვდილით, ამ უბედურებით ნუ შეეცდებით გარკვეული დივიდენდების მიღებას. ეს არის უზნეობა და ამორალურობა“, — ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტის კითხვას — **რატომ არ მიდის ის ქართველი გმირი სამხედროების დაკრძალვაზე.**

შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ!

ჩვენ პოლიტიკურ დონეზე უკრაინას ყველა ფორმატში, იქნებოდა ეს გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, თუ ეუთოს ფორმატები, ყველაგან მხარი დავუჭირეთ. ვიყავით თანაორგანიზატორები, თანასპონსორები, თუ უბრალოდ მხარდამჭერები უკრაინის რეზოლუციების მიმართ და შევუერთდით ყველა პოლიტიკურ გზავნილსა და რეზოლუციას. ამით, რა თქმა უნდა, ჩვენმა სახელმწიფომ გამოხატა სოლიდარობა უკრაინელების მიმართ. რაც შეეხება სანქციებს, ეკონომიკური სანქციების დაწესება ჩვენი მხრიდან, საქართველოს მხრიდან არ მოხდება და მე მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ ამ განცხადებით, ამ გადაწყვეტილებით ჩვენი გუნდი და პირადად მე ვხელმძღვანელობ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენი ქვეყანა არის ოკუპირებული დღეს, ნუ დაგავიწყდებათ და მეტი პასუხისმგებლობით მოვიქცეთ ჩვენი ხალხის მიმართ. 20% ჩვენი ტერიტორიების არის ოკუპირებული და 30 წლის განმავლობაში ჩვენ სამი ომი გადავიტანეთ. ამ ომში, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ძალიან ბევრი, ასობით ადამიანი დაზარალდა და ათასობით, ათი ათასობით დევნილი გვყავს საკუთარ ქვეყანაში. ეს უნდა შეჩერდეს, ჩვენ აღარ უნდა გავიმეოროთ შეცდომები, წინდაუხედაობა არ უნდა გამოვიჩინოთ...

ალექსანდრე თავართქილაძის ფიტოპრეპარატი „სულაქერი“ სამედიცინო შედევრია!

7

მართლა ამოვიდა ყელში!

დიახ, დიახ, მართლა ამოვიდა ყელში! უკრაინის ხელისუფლებას ვგულისხმობ, ზელენსკის თამადობით... ამოვიდა ყელში ამ უნიჭოდ გამოძერწილი პროექტის ავყიობა, პიტნასავით რომ ტენიან მთელ მსოფლიოს ცხვირში, როგორც უსამართლობასთან თავგანწირულ მებრძოლს.

დღე არ გავა, ამ „ეკრანის გმირის“ ე.წ. „გუნდმა“ აუგად რომ არ მოგვიხსენიოს. ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ წერილში ვწერდი, „განსაცდელმა სახე არ უნ-

„დავაი, რა“, შე ძალად პოლიტიკოსო!

და დაგაკარგვინოს“ მეთქი. **რასაკვირველია, იმთავითვე „კარგად მომეხსენებოდა“, რომ განსაცდელი არაფერ შუაშია და დიდი გეგმის ერთი ნაწილის ამუშავებისა, ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევის მცდელობასთან გვქონდა საქმე,** რადგან **ჯერ კიდევ ომამდე** „ვიწინასწარმეტყველე“, რომ რუსეთ-დასავლეთის ბოლო, მაგრამ, სამწუხაროდ, არა უკანასკნელ, დაპირისპირებაში **უკრაინას და საქართველოს საზარბაზნე ხორცის როლი ჰქონდათ განსაზღვრული.**

საკუთარი თავისთვის პირობა მძონდა მიცემული, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების ყველა გამოხტომა გამეტარებინა, სანამ „ბურთი“ ისევ ზელენსკიმდე არ მიგორდებოდა. **ამ ამბავში ყველაზე ტრაგი-კომიკური ისაა, რომ მთელ საძართველოში ეჭვიც არავის ეპარებოდა, რომ ეს „ბურთი“ აუცილებლად მივიდოდა საწყის წერტილამდე, უფრო სწორად, მიაყვანინებდნენ, მეორე წრეზე ჩასათამაშებლად...** აღნიშნულიდან გამომდინარე, **წი-**

ნამდებარე წერილის სათაურის მთავარი ადრესატი (ადრესატები) ისაა, ვინც ეს პროექტი შეასალა უკრაინელ ხალხს.

ადამიანურადაც და საქართველოს მოქალაქის პოზიციებიდანაც, ანუ როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო, ბუნებრივია, **ყველანი, ერთხმად, უკრაინის გამარჯვებას ვგულშემატკივრობთ: ა) იმიტომ, რომ უკრაინა რუსეთთან მართალია და ბ) იმიტომ, რომ უკრაინის გამარჯვება გარდამტეხი ფაქტორი გახდება ჩვენი სამშობლოს პრობ-**

ლემების მოგვარებაში. მაგრამ... მაგრამ, სამწუხარო ისაა, რომ ამ გადასახედიდან და გუშინდელი და გუშინწინდელი გადასახედიდანაც, ეს ფიქრები სურვილებისა და ოცნებების იქით ვერ მიდის.

საქართველოს ხელისუფლებას, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან და დიპლომატიური სტანდარტების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, შეფასებების თავისი ჩარჩო და თავისი დედლაინები აქვს. **რაღაც დრომდე საზოგადოებისთვისაც არსებობს შეზღუდვები თუ თვითშეზღუდვები, ამა თუ იმ პროცესზე ნეგატიური გავლენების პრევენციის ინტერესებიდან გამომდინარე.** ამიტომაც გვქონდა პირში წყალი დაგუბებული, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილების ბევრი მიზეზი დაგროვდა.

პირადად ჩემთვის, „თმენის ვალდებულების“ ვადები მაშინ ამოიწურა, როცა უკრაინული მხარის პოზიციებიდან პირველად გაცხადდა ნეიტრალიტეტზე მოლაპარაკების მზადყოფნა. ეს იყო ომის დაწყებიდან რამდენიმე დღის თავზე. **უკმაყოფილების მიზეზი არა თავისთავად ნეიტრალიტეტის თემის შემოტანა, არამედ თავისი ხალხის მიმართ ის ცინიკური უპასუხისმგებლობა იყო, რაც აღნიშნულ განცხადებას, წინა პერიოდის მოვლენათა განვითარების სახით, შლეიფივით მოსდევდა.** კერძოდ, როცა ხელისუფალი გქვია, შენი მოვალეობაა, წინასწარ გათვალო, ამა თუ იმ ქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

როდესაც წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული „პოზიციიდან“ ერთ კვირაში სრული სვლით უკან დაიხევ, ქუდი უნდა დაიხურო და წახვიდე — ამას ჰქვია პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა; როცა „ვერგათვლას“ ხალხი ეწირება, სასამართლო განაჩენისთვისაც უნდა იყო მზად — ამასაც ჰქვია პასუხისმგებლობის ტვირთის ზიდვა და არა იმას, სამუდამოდ მზედაბნელებული 145 ბავშვის ფოტოების ფონზე **სასოწარკვეთილი ხმით გაჰკიოდე, რომ NATO-მ ზურგი გვაქცია, რომ NATO-მ ცა არ დაგვიხურა, რომ NATO-ს სახელმწიფოებმა თვითმფრინავები არ მოგვცეს, რომ საქართველომ და მოლდოვამ პარალელური ფრონტები არ გახსნეს, რომ მეტი სანქციები იყო საჭირო და ა.შ.**

მაგრამ ვინ კითხავს ზელენსკის, გუშინ რა უნდა ეკეთებინა, ან ხვალ რა უნდა აკეთოს?.. ჰო, ეს მერე იცოს, ზელენსკეზეც, პროექტზეც, მოგებულ-წაგებულზეც... ფართო და სილრმისეული ანალიზის დრო რომ მოვა...

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, თავს ვალდებულად ვთვლიდი, უმრავლესობის განწყობას დავმორჩილებოდი და „ცალმხრივი დუმილი“ სხვა ახალი ეტაპის დადგომამდე გამეხანგრძლივებინა. აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემი ქვეყნის მისამართით წამოსროლილ ახალ შეურაცხმყოფელ განცხადებებს არ ვგულისხმობ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტში ახალი კვანძის გახსნას.

იხ. 5 გვ.

ამაზრზენი და ანტისახელმწიფოებრივი...

(პირველი გვერდიდან)

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** For.ge-სთან ამბობს, რომ რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, იმის შემდეგ მუდმივად არის იმის მცდელობა, რომ ფრონტის ხაზმა საქართველოში გადმოინაცვლოს. საყვარელიძე ამბობს, რომ ამას „ნაციონალური მოძრაობა“ ანტირუსული განცხადებებით, რუსული საქმის კეთებით ცდილობს — ამბობს ერთს და მეორეს მხრივ რუსულ სცენარს მიჰყვება, რადგან საქართველოში არეულობა, დაპირისპირება და სახელმწიფო გადატრიალება აწყობთ.

„კი ბატონო, შესაძლოა, უკრაინის ხელისუფლებაში ვიღაც ფიქრობდეს, რომ თუკი ფრონტის ხაზი სხვაგანაც გაიხსნება, ეს უკრანას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა ხომ წარმოუდგენელია. არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინის გარდა ბევრი ფრონტის გაშლა სხვაგანაც აწყობდეთ, მაგრამ ამის მოწოდებას რომ აკეთებ, ეს უკვე



დიდ უნამუსობასთან ერთად, დიდი სისულელეზეც მიუთითებს. უკრაინელები მართლა გმირი ხალხია, რადგან ხელისუფლებაში ასეთი ხალხი ჰყავთ და ომში მაინც გმირულად იბრძვიან.

რაც შეეხება საქართველოში საომარი მოქმედებებისკენ მოწოდებას და ჩვენი ხელისუფლების განცხადებას, პირველ რიგში, ასეთი მოწოდებები აბსოლუტურად მიულებელია. საქართველოს მოსახლეობაში უკვე მომწიფებულია ის განწყობა, რომ აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობა უნდა აღდგეს. ხოლო აგრესია მათ მიმართ ქართველებს აღარ აქვთ. ჩვენმა ხალხმა მათთან დაპირისპირების ფურცელი გადაშალა და ძალიან კარგად გავიაზრეთ 90-იან წლებში ჩვენს თავს რაც მოხდა. ამიტომ „ნაციონალების“ მცდელობა, რომ ხალხის ემოციებზე ითამაშონ, აღარ გამოვა“, — ამბობს საყვარელიძე.

მისივე თქმით, ამ ფონზე მათთან დაპირისპირებით ისევ 90-იანი წლებს დავუბრუნდებით. საყვარელიძე ფიქრობს, რომ ენმ ცდილობს სანქციების თემა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოიყენონ და დაჟინებით მოუწოდებენ დასავლეთს, რომ ის რუსი ოლიგარქია და მასაც სანქციები უნდა დაუწესონ. ამის პრალელურად, იმედი აქვთ, რომ ამღვრეულ წყალში თევზს დაიჭერენ და ხელისუფლებაში დაბრუნდებიან. თუმცა ლოგიკას არის მოკლებული, როცა ერთი მხრივ რუ-

„დანილოვის ეს განცხადება როყიოდ წარმოთქმული სიტყვები არაა. ეს არის დიდი სცენარის ერთ-ერთი ნაწილი“

სეთის სცენარს თამაშობ და მეორე მხრივ იმედი გაქვს, ამ სცენარში ხელისუფლებაში დაბრუნებას შეძლებ.

„გავიხსენოთ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია ამ პროცესებში როგორი ჩართულია. „ნაციონალების“ და რუსების ტანდემში მოქმედება გასაშიფრია. ფაქტია, რომ მათი განცხადებები და ამათი მოქმედებები ერთმანეთს ემთხვევა. რა ინტერესებია და რა მექანიზმი მოქმედებს არ ვიცი, მაგრამ ენმ აკეთებს იმას, რაც რუსეთს აწყობს. „ნაციონალები“ ანტირუსული ლოზუნგებით, რუსების საქმეს აკეთებენ. ანტირუსული ლოზუნგით 2008 წლის ომი დავიწყეთ და ამ ომით ვინ მოიგო? რა თქმა უნდა, რუსეთმა. თუკი ქუჩაში გავალთ და ამ ხელისუფლებას გადავაგდებთ, ვინ მოიგებს? — ისევ რუსეთი. სახელმწიფო გადატრიალება რამდენი ხნით უკან დაგვწევს. მერე ვკითხოთ, აბა, ხალხს, ვის უნდა „ნაციონალების“ უკან დაბრუნება? ისევ სამოქალაქო დაპირისპირება, სამოქალაქო ომი უნდა მოხდეს? ესეც ხომ ისევ რუსების სასარგებლო აბავი იქნება. ამიტომ, როცა ვამბობ, რომ ეს ხალხი რუსების სცენარით მოქმედებენ, ამის მტკიცებულება მათი ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებია. საქმე ისაა, რომ ჩვენი მოსახლეობა უკვე დიდი ხანია მიხვდა და ამ მიუღებელ რიტორიკას აღარ ჰყვება“, — ამბობს საყვარელიძე.

* * *

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** კი მიიჩნევს, რომ უკრაინის მაღალჩინოსნის მხრიდან ეს ყოვლად ამაზრზენი განცახდება ასე უცბად და მოულოდნელად არ გაკეთებულა. ნიკოლეიშვილი მიიჩნევს, რომ ეს არ არის უბრალოდ წამოცდენა, ეს არის ძალიან კარგად დაგეგმილი სცენარი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში თვალს ვადევნებთ.

„ამ დღეების განმავლობაში მცდელობა, რომ საქართველო ომში ჩათრეული ყოფილიყო, სხვადასხვა ტაქტიკით მიმდინარეობდა. გავიხსენოთ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გაკეთებული პროვოკაციული განცხადებები. კერძოდ, ხატია დეკანოიძის მიერ სრულიად ამაზრზენი და სახელმწიფოებრივად მავნებლური ინტერვიუ ერთ-ერთ უკრაინულ არხზე. ეს იყო იმის მცდელობა, რომ ქართველ ხალხში აღშფოთება ყოფილიყო გამოწვეული და ამით საპროტესტო მუხტის აგორება მომხდარიყო. დეკანოიძემ სრულიად უსირცხვილოდ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება რაღაცა „შავი ხვრელების“ მეშვეობით რუსების დახმარებას ცდილობს.

გავიხსენოთ ყოველდღიური მოწოდებები რუსეთისთვის სანქციების დაწესების შესახებ. თითქოს და ამით უკრაინას დავეხმარებოდით, არადა რეალურად ჩვენი მოსახლეობის ისედაც მძიმე ყოფას უფრო დავამძიმებდით. რა სახის სანქცია უნდა დაგვეწესებინა რუსებისთვის, რომ ისინი დაზარალებულიყვნენ და არა ჩვენ?! მერე ვნახეთ ომისკენ პროვოკაციული მოწოდებები. უკრაინაში მოხალისეების გაგზავნასთან და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებასთან დაკავშირებით. უკრაინის ზოგიერთი მაღალჩინოსნების მხრიდან ჩვენი ხელისუფლების კრიტიკაც მოვისმინეთ. ჩვენს საზოგადოებასაც ლოგიკურად გაუჩნდა კითხვა, რა დროს ჩვენი კრიტიკაა, როცა მათი მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება და ქვეყანაში ომი აქვთ?!“, —

ამბობს ნიკოლეიშვილი.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანა ვართ, ის სამხედრო პოტენციალი, რაც ჩვენ გაგვაჩნია, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისთვის არის გამიზნული. ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ ჩვენი ხელისუფლების მიზანი სწორედ ისაა, ქვეყანა იმ დიდ უბედურებაში არ გახვიოს, რაც ახლა უკრაინაში ხდება. თუმცა სამწუხარო ისაა, რომ ისევ ჩვენნაირი პატარა ქვეყნისგან ითხოვენ თავგანწირვას და მსხვერპლის გაღებას.

„სამწუხაროა, რომ უკრაინის ხელისუფლება „ნაციონალების“ ყველაზე ცუდი წარმომადგენლების ალყაშია. ამ ხალხმა საქართველოში ხელისუფლების დროს ქვეყანას კარგი არაფერი მოუტანა. შესაძლოა სხვა ქვეყნებიც იყვნენ დაინტერესებული იმაში, რომ აქ ახალი ფორნტის ხაზი გაიხსნას. ასე კონკრეტულად ხელს არავის ვადებ, მაგრამ ვიღაცეები რომ აქ არეულობის მოწყობით არიან დაინტერესებული, უკვე დიდი ხანია ჩანს. მთავარი ისაა, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიაზროს, ეს ქვეყანას რას მოუტანს. დასავლეთის ადგილზე ძალიან მკაცრ მითითებას მივცემდი უკრაინის ზოგიერთ მაღალჩინოსანს, რომ საქართველოში უბედურების გადმონაცვლების მცდელობას შეეშვან. დანილოვის ეს განცხადება როყიოდ წარმოთქმული სიტყვები არაა. ეს არის დიდი სცენარის ერთ-ერთი ნაწილი“, — ამბობს ნიკოლეიშვილი.

ლიკა ბერიკაშვილი

ყანდურებს მიხედეთ, ყანდურებს!

„ყანდური“... ეს სიტყვა პირველად მე ვიხმარე ქართულ ჟურნალისტიკაში ლამის 10 წლის წინ, 2012 წლის 19 სექტემბერს, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით — „მეუფე ყანდური“, რომელსაც ასეთი ქვესათაური ჰქონდა...

„გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ტყვია დაახალა, ხოლო „მეუფე ყანდური“ (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი) ილია მეორეს, გნებავთ მეორე ილიას უთხრის სამარეს“...

ვისაც სურვილი ექნება, ამ სტატიას ადვილად იპოვნის „დალოცვილ“ ინტერნეტში. ახლა კი მცირე პასაჟის სახით იმ სტატიის შინაარსიდან, მხოლოდ რამოდენიმე „უმნიშვნელო“ ფაქტს გავიხსენებ იმათთვის, ვინც ინტერნეტში „ქექვას“ არ აპირებს. პირველი და უმთავრესი, მეუფე ყანდური და თქვენი მონა-მორჩილი, ბავშვობაში თანაკლასელები ვიყავით და ამიტომ სხვებზე მეტად ვიცი, რას და ვისზე ვწერ — ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს — სახარე ხბოს სასკორავში ეტყობაო, „სახელოვან, საამაყო გვარიშვილს“ თვალებში ეტყობოდა თუ „რა ჩიტიც“ ბრძანდებოდა.

თუმცა არა, რა შუაშია თვალები, რადგან გურამ ბერბიჭაშვილები ადამის მოდგმის იმ მცირერიცხოვან კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთაც მუდამ თავდახრილთ, რომ იტყვიან „თვალი, თვალში ვერავისთვის გაუყრიათ“ და თვალებში ვინ-რას შეატყობდა?

მოკლედ, თვალები იყო თუ სასკორავი, გურამ ბერბიჭაშვილმა საეკლესიო იერარქიაში პატრიარქის შემდეგ უმაღლეს საფეხურს მაღწია და აჰა ბატონო, ნაცების ყურმოჭრილი მონა, მეუფე გრიგოლი (წაიკითხე, ყანდური) ერთ-ერთი პირველია საყაშვილის განთავისუფლების მოთხოვნის პეტიციაზე ხელმომწერ მეუფე ყანდურთა შორის.

ამ პასაჟის ბოლოს პატარა წატრაბახების უფლებას მივცემ თავს — მოხარული ვარ, რომ ჩემს მიერ ნათქვამი ფრაზა, — „მეუფე ყანდური“ ისეთი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ 10 წლის შემდეგაც ყოველგვარი „მოთარგმნის“ გარეშეც ცხადია, რომ ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი „მეუფე ყანდური“ ყველა ცრუ სასულიერო დაბალ-მაღალი იერარქის სინონიმია.

ამ „სახელს“, რომელიც ქართულ მედიაში თქვენი მონა-მორჩილის დამკვიდრებულია, ხშირად ხმარობენ პრესასა თუ ტელევიზიებში ყოველგვარი წინწკლების, ანუ პირველწყაროს მინიშნება-მითითების გარეშე, მაგრამ საავტორო უფლების დარღვევის გამო სტრასბურგის სასამართლოში ჩივილს არ ვაპირებ.

თუმცა რა დროს ხუმრობაა, როდესაც მეუფე ყანდურებით არის სავსე საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდი, რომლებიც ძირს უთხრიან არა მხოლოდ პატრიარქს, არამედ ახლა მის თანამოსაყდრე მეუფე შიოსაც და ყანდურთა მეცადინეობით, საქართველოს დედა-ეკლესიასაც, რომელიც ერთადერთი მებრძოლი ინსტიტუციაა ქართული, ზნეობის, ტრადიციების, საზოგადოებრივი მორალის, ბოლო და ბოლოს ელემენტარული ადამიანობის შენარჩუნებისათვის...

სწორედ ამის გამო მიიტანეს მეუფე ყანდურებმა ტელე-შეტევა საქართველოს პატრიარქის მოსაყდრეზე მეუფე შიოზე.

კვირის თოქშოუს „მთავარი აქცენტების“ ამ თემის სიუჟეტის „თეოლოგად“ ცნობილი „ქათამი“ ნიკა გვარამია მოგვევლინა. რომელმაც საყაშვილის ადვოკატობა იკისრა და ალბათ იმიტომ, რომ მის ახალ „თანამდებობაში“ მისი ცნობილი „შარვალ-ფოხანი“ თავის საყურეებიანად, ახალ ამპლუაში აშკარად არ ჯდებოდა, ეტყობა რომელიმე პიარზე პასუხისმგებელი პირის რჩევით, ეს აშკარად ლგბტ-პედერასტული ატრიბუტიკა დროებით „ნაფტალინში“ შეინახა და მეუფე შიოს მიერ სახარების ინტერპრეტირებაზე ვირტუალურ სჯაბაასში ვიზუალურად მთლად კაცურად ვერა, მაგრამ ისე ლგბტ-ტრანსგენდერულად აღარ გამოიყურებოდა, რომ ნორმალურ ადამიანს მისი ისე, უმიზეზოდ ცემა მოგნდომებოდა.

თბილისის სემინარიის მაშინდელი რექტორი ჩუდეცკი ამავე სემინარიის სტუდენტმა იოსებ ლაღიაშვილმა ხანჯლით აკუწა, რომლის დაკრძალვაზე, ქართველთმოძულე ეგზარხოსმა პავლემ 1887 წელს ქართველი ერი დაწყევლა. ეს ფაქტი სასტიკად გააპროტესტა დიმიტრი ყიფიანმა და მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა. შემდეგ რაც მოხდა ცნობილია — დიმიტრი ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს და, სხვათა შორის, დღემდე გაურკვეველ ვითარებაში ვერაგულად მოჰკლეს. იმ დროს ქართველი საზოგადოების აზრი ლაღიაშვილის მხარეს იყო — „ამერიკა აღმოაჩინა“ გვარამიამ და შენც რუსეთის მიერ დანიშნული ეგზარხოსი ხარო!

ჰკადრა ამ „ქათამმა“ საქართველოს ეკლესიის სინოდში მეუფე ყანდურებით ალყაშემორტყმულ მეუფე შიოს...

ის კი ვერ გაიხსენა მეუფე ყანდურთა პროტეჟე ნიკა გვარამიამ თუ რა წერილი მისწერა დიდმა ილიამ ზემოთ მოთხრობილი ამბებიდან 10 წლის შემდეგ თბილისის სემინარიის მაშინდელ რექტორს:

რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული, — სწერდა ილია თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორ სერაფიმეს 1898 წელს, — ჩვენთვის უფროა საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდი თვალუწვდენელი რუსეთისათვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას, ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ეძიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის საკითხთან.

...დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის. დიმიტრი იყო ჩვენი ხუროთმოძღვარი, ჩვენ კი მისი კალატოზები — იტყვის დიდი ილია იგივე დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვაზე...

ახლა კი იმისთანა რამეს გეტყვით ნიკა გვარამიას იმ ღამინდელი „შემოქმედებიდან“, მეშინია გულები არ დაგისკდეთ და ყოველი შემთხვევისთვის ენის ქვეშ ვალიდოლები ამოიდეთ...

„და აქვე გეტყვით, რომ ისტორიულ ჭრილში მიხეილ საყაშვილი, თუ უფრო მეტი არა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა ქვეყნის ისტორიისთვის, ვიდრე დიმიტრი ყიფიანი იყო!“

დავით მხეიძე

სოსო ცინცაძე: პუტინი აფხაზებს ცხვირში ძრარად ამოადენს დამოუკიდებლობანას თამაშს!

კრემლთან დაახლოებულმა ჟურნალისტმა მარგარიტა სიმონიანმა ახლახანს აფხაზეთი დალაშქრა, დე ფაქტო პრეზიდენტ ასლან ბჟანიასთან ისაუბრა და აფხაზებთან სასაზღვრო პუნქტის არსებობა გააპროტესტა, რადგან ეს პუნქტი თურმე ნერვებს უშლის რუსებს, ღირსებას ულახავს მილიონობით რუსს, რომლებიც ყოველწლიურად კვეთენ ამ საზღვარს მაშინ, როცა მარგარიტა სიმონიანის აზრით, აფხაზეთი ეს არის ლამაზი მიწა და „ჩვენი ხალხი“, ანუ რუსების ხალხი, რომლებთან მისვლა-მოსვლაშიც დაბრკოლება არ უნდა არსებობდეს.

თუკი გავითვალისწინებთ მარგარიტა სიმონიანის სენტიმენტებს **პუტინის** მიმართ და აგვისტოს ომის დროს მის ტენდენციურობას, რისთვისაც სიმონიანმა მოვლენების ობიექტური გაშუქებისთვის“ კრემლისგან ჯილდოც მიიღო, გამორიცხული არ არის, სიმონიანი ასლან ბჟანიასთან რუსეთისთვის აფხაზეთის მიერთებაზეც ალაპარაკდებოდა, მაგრამ აფხაზებმა კრემლს მტკიცე უარი სტკიცეს იმ მოტივით, რომ ისინი „დამოუკიდებლები“ არიან. ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. უშიშროების საბჭოს მდივანმა **სერგეი შამბამ** პირდაპირ თქვა კიდეც, რომ აფხაზებმა მძიმე ფასი გადაიხადეს „დამოუკიდებლობისთვის“ და რუსეთთან შეერთების სურვილი არც აფხაზეთის პოლიტიკურ წრეებში და არც აფხაზ ხალხში არ არის.

სამაგიეროდ, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტმა **ანატოლი ბიბილოვმა** გადაწყვიტა რუსეთის დავალების გახმოვანება და რუსეთის ფედერაციაში შესვლის სურვილი დააანონსა. ცხადია, არავის სჯერა, რომ ბიბილოვმა დამოუკიდებლად მოიწადინა ცხინვალის რეგიონის შეყვანა რუსეთის ფედერაციაში, ბიბილოვს ამ აზრის გახმოვანება კრემლში უკარნახეს. მანაც არ დააყოვნა და ყველას ამცნო, რომ ისტორიულ სამშობლო-რუსეთთან გაერთიანება ეს არის ოსი ხალხის მთავარი ისტორიული და სტრატეგიული მიზანი და ოსებმა ეს შანსი ჯერ კიდევ 2014 წელს გაუშვეს ხელიდან, როცა ყირიმი რუსეთის ნაწილი გახდა. შეცდომის გამეორებას კი ოსები მეორედ აღარ აპირებენ და რუსეთთან მიერთების თაობაზე ე.წ. რეფერენდუმს გამართავენ.

სერგეი შამბა, მარგარიტა სიმონიანი...

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი **დავით ზალკალიანი** ამბობს, რომ ოკუპირებულ ცხინვალში ყოველგვარ რეფერენდუმზე საუბარი მიუღებელია და ოკუპაციის პირობებში რეფერენდუმს იურიდიული ძალა არ ექნება. საქართველოში ფიქრობენ, რომ ბიბილოვის განცხადება ქართულ დიპლომატიას აძლევს კიდევ ერთ არგუმენტს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დააყენოს საკითხი რუსეთისთვის სანქციების დამატების თაობაზე. ცხინვალში დაგეგმილ ე.წ. რეფერენდუმს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც ეხმიანება. დეპარტამენტში აცხადებენ, რომ არც დე ფაქტო ხელისუფლებას და არც რუსეთის მთავრობას არ აქვთ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები ე.წ. სამხრეთ ოსეთის მომავალთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს ნაწილია.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ბიბილოვმა გამოაცხადა ცხინვალის რეგიონის რუსეთთან მიერთების შესახებ და საქართველოში ატყდა ერთი ამბავი, ჩვენი მთავრობა რატომ არაფერს აკეთებსო? თუმცა სოსო ცინცაძეს აინტერესებს, რა უნდა გააკეთოს საქართველოს მთავრობამ? — ვერც ვერაფერს გააკეთებს. უბრალოდ, ჩვენ შეგვიძლია დიპლომატიურად ვიმოქმედოთ. კერძოდ, თუ მოხდა ასეთი რამ და რუსეთმა მიიერთა ცხინვალის რეგიონი, ჩვენ შეგვიძლია, დიპლომატიის გააქტიურების შემთხვევაში, იმ ევროპელებს, ევროპის იმ სტრუქტურებს, რომლებიც მზად არიან, სანქციები შეარბილონ რუსეთის მიმართ, ეს პროცესი გავართულებინოთ და რუსეთის მიმართ სანქციები გავახანგრძლივებინოთ.

იხ. 11 გვ.

ომის გაგრძელება დაუშვებელია!

ზელენსკის და პუტინის გადადგომის შემდეგ, უკრაინასა და რუსეთში რეფერენდუმები უნდა ჩატარდეს!

როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება, დარწმუნებული ვარ, ორივე მხარე წაგებული დარჩება. თუმცა, ამ უდიდესი ადამიანური და გეოპოლიტიკური ტრაგედიით მავანნი (მათ შორის ოკეანის გაღმა...) ნამდვილად „იხეირებენ“, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ რუსეთი დიდი ხნით აღმოჩნდება იზოლირებული ევროკავშირისგან, ფაქტია, ომებზე, ქვეყნების შეირაღება-გადაიარაღებაზე დიდი ფული კეთდება (ვაქცინების წარმოებაზე გაცილებით მოგებიანი ბიზნესია...).

ამდენად, ზელენსკი „ვიღაც მესამის“ ინტერესებში რომ არ მოქმედებდეს, რუსი ოკუპანტების შემოჭრისთანავე განაცხადებდა, რომ უკრაინელები მზად არიან სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვან, თუმცა, ვინაიდან არც რუსი ძმები (გაეროს მიერ „მომაკვდავი ერების შავ სიაში“ შეყვანილი სლავების გენოფონდი...) ემეტებათ სასიკვდილოდ, ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის ბრძანებას იმ პირობით გასცემდა, რომ დაზავების შემდეგ უკრაინის მთელ ტერიტორიაზე ჩატარდებოდა რეფერენდუმი, რომელზეც „ხელისუფლების წყარო“ (ხალხი) ჩამოყალიბდებოდა, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება სურს, ნეიტრალიტეტი ან სრული დემილიტარიზაცია, დანარჩენ აღმოსავლეთ სლავებთან სამოკავშირეო (კონფედერაციულ) სახელმწიფოში ცხოვრება (მით უმეტეს, ბელარუსებს და რუსებს, ფაქტობრივად, დაგაწყვეტილი აქვთ 2024 წლისთვის გაერთიანება...), თუ რუსეთის სამხედრო ბაზების განსათავსებლად მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემაზე არის თანახმა.

უკრაინის ხელისუფლებაც რეფერენდუმის შედეგების მიხედვით იმოქმედებდა და ანგარიშს ქვეყნის ცალკეული რეგიონების პოზიციასაც გაუწევდა (გონივრული იქნებოდა, ევროპასთან ინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულების თაობაზე რეფერენდუმი რუსეთშიც გამართულიყო.

უკრაინაში ჯარის შეყვანით, პუტინმა არა მარტო კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინა დანაშაული, არამედ, ფაქტობრივად, საკუთარ ხალხსაც უღალატა, ვინაიდან თანამოძმეებს გადაამტერა, თუმცა ვერც ზელენსკის გავამართლებ, რომელიც მეზობელთან სადავო საკითხებზე მოლაპარაკების გამართვის და მისი ინტერესების გონივრულ ფარგლებში გათვალისწინების ნაცვლად, პროვოკაციული განცხადებებით, ფაქტობრივად, მუდმივად ამწვავებდა კონფლიქტს. შესაბამისად, უკვე დაღვრილი სისხლისთვის პოლიტიკური პასუხისმგებლობა ორივე ქვეყნის მესვეურს ეკისრება. ამდენად, სამართლიანი იქნებოდა, დაზავების შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე, პუტინიც და ზელენსკიც გადამდგარიყვნენ და ორივე სახელმწიფოში, რეფერდუმთან ერთად, საპრეზიდენტო არჩევნებიც გამართულიყო.

შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების, ალბათ სხვა, უფრო ეფექტური გზებიც არსებობს, მაგრამ, იმდენად დამრთგუნა რუსების მორიგმა „სპეციალურმა ოპერაციამ“ თავი ვალდებულად ჩავთვალე, ჩემი აზრი ღიად გამომეთქვა. მეზობელ ქვეყნებს შორის უაღრესად დაძაბული ვითარების განმუხტვის აუცილებლობის თაობაზე აშკარა დაპირისპირების სრულმასშტაბიან ომში გადაზრდამდეც მიფიქრია...

2021 წლის 26 დეკემბერს ფეისბუქის გვერდზე აღმოსავლეთ სლავების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების იდეას დავუჭირე მხარი და საქართველოსთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსად მივიჩნიე, ხოლო 25 იანვარს შემდეგი მოსაზრება „დავპოსტე“: „ვიკიპედიის თანახმად, „სლავები – ევროპის ყველაზე დიდი ინდოევროპული ეთნოლინგვისტური ჯგუფია, რომელიც აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ სლავებად იყოფა. აღმოსავლეთ სლავებს წარმოადგენენ: „რუსები, ბელარუსები და უკრაინელები“. ამასთან, „პანსლავიზმი (სრულიად სლავური მოძრაობა) XIX საუკუნეში შექმნილა და სლავი ხალხის კულტურულ, რელიგიურ და პოლიტიკურ გაერთიანებას ისახავს მიზნად“. კიევში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი და უკრაინელების ნათქვამს იოლად ვიგებდი, ვინაიდან რუსული ენა სკოლაში მასწავლეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაინტერესებს, „მეგობარი ქვეყნები“, რომლებიც „რუსეთისგან თავის დასაცავად“ უკრაინას იარაღით ამარაგებენ, რეალურად, მისი მოყვრები არიან თუ მტრები?!“

რამდენიმე ცნობილი მეცნიერი გამომეხმაურა. კომენტარებში პირველი ეს მკითხეს: „ბატონო ავთანდილ! ვერ გავიგე, რუსებს ემხრობით, თუ უკრაინელებს?!“ „2008-ში ვის ემხრობოდით? რუსებს თუ ქართველებს?“

პასუხი: „რას ნიშნავს, რუსებს თუ ქართველებს (სომხებს თუ აზერბაიჯანელებს, ამერიკელებს თუ ავღანელებს) ვემხრობი?! მიუხედავად ეროვნებისა, მოძალადეს (სუსტის დამჩაგრავს, აგრესორს, ოკუპანტს...) და ნაძირალას (უზრდელს, მატყუარას, ქურდს, კორუმპირებულს...) გვერდზე ვერავის დავუდგები. წესიერს და გონიერს კი ყველას პატივს ვცემ (სხვათა შორის ფოლკნერმა შენიშნა, გონიერი ადამიანისთვის კანონები ზედმეტიაო...). აქედან, გამომდინარე, ის ქართველებიც, ვინც სამაჩაბლო (აფხაზეთიც და, ფაქტობრივად, აჭარაც) გაყიდა და ის რუსებიც, რომლებმაც ჯარისკაცები საქართველოში (უკრაინაში, ავღანეთში...) გაგზავნა ან სხვისი მიწის მისატაცებლად იარაღი გამოიყენა არაკაცებად მიმაჩნია და მათ ვერასდროს მივემხრობი, ხოლო იმ შეგნებულ მართლმადიდებელ სლავებთან, რომლებიც რუსეთის დღევანდელი მესვეურების იმპერიულ და აგრესიულ პოლიტიკას არ იზიარებენ, კეთილმეზობლობა მინდა. აქედან გამომდინარე, ის „მეგობარი“, რომელიც რომელიმე უკრაინელს ან პირადად თქვენ რუსეთთან საომრად ტანკს გაჩუქებთ, რითაც, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაგწირავთ, მე მტერი მგონია...“

კომენტარი: „უკრაინელებს ჰკითხეთ?!“

პასუხი: – უკრაინიდან ჩამოსულებს ხშირად ვეკითხები. არ არიან ერთ აზრზე. ზოგიერთი რუსებს ოკუპანტებად თვლის, ხოლო ზოგიერთი მომხდარში უკრაინის ხელისუფლებას ადანაშაულებს...“

კომენტარი: „ბატონო ავთანდილ, პოლონელებისა და აღმოსავლეთ სლავებს შორის დაპირისპირება ივანე მრისხანის პოლიტიკიდან იღებს ფესვებს. მაშინ ეგეთი სიტყვები, როგორც რუსეთი (პეტრე პირველის შემოღებული) და რუსი არც არსებობდა)“.

პასუხი: „გამოდის, როდესაც ჩვენი სახელმწიფოს („ნაციონალური“) სიმბოლიკის წარმომავლობის თაობაზეც კი არ გვაქვს მკაფიო წარმოდგენა, სხვისი ისტორია უკეთესად გვცოდნია... როგორც ვიცი, სლავები ერთმანეთს მხოლოდ მას შემდეგ დაუპირისპირდნენ, რაც ნაწილმა მართლმადიდებლობას კათოლიკობა არჩია... ჩეხოსლოვაკიაც მხოლოდ ამ ნიშნით არ გაიყო?! როგორც ჩანს, უკრაინის ჯერია... მით უმეტეს, რომ ეკლესია, ფაქტობრივად, უკვე ორად არის გაყოფილი... სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ უმჯობესია ე. წ. აღმოსავლეთ სლავებმა (მართლმადიდებელმა ბელარუსებმა, რუსებმა და უკრაინელებმა) ერთიანი სახელმწიფო ან კონფედერაცია შექმნან, რომელთანაც საქართველო ურთიერთხელსაყრელ პირობებზე ითანამშრომლებს“.

არ მგონია, დღეს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს ისტორიულად სლავური ეთნოსი „კიევის რუსეთიდან“ იღებს სათავეს, ვოლგისპირეთიდან, მოსკოვიდან თუ, სულაც აზიიდან ჩამოსულები ჰყავდათ წინაპრებად. ფაქტია, 200 მილიონამდე არიან, ენაც და დამწერლობაც, ფაქტობრივად, ერთი აქვთ და ხმელეთის 1/6-თან ერთად, მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების უდიდეს ნაწილსაც ფლობენ..

ვინც უკრაინის ახლგაზრდა პრეზიდენტს, ფაქტობრივად, აქეზებს და იარაღით ამარაგებს (თან „მეგობარი ქვეყნები“ ევროპიდან მოძველებულ ტექნიკას, მათ შორის საბჭოთა წარმოებისასაც უგზავნიან, რომ თვითონ ახლით ჩაანაცვლონ... გერმანიას კი, უკვე 100 მილიარდი ევრო გამოუყვია შეირაღების განახლებისთვის...) ვურჩევ გონს მოეგონ და ნუ ჰგონიათ, რომ „მესამე მსოფლიო ომი“ მათ არ შეეხებათ... მით უმეტეს, რომ პუტინის „განკარგულებაში“ სხვადასხვა მონაცემებით, 5-დან 10 ათასამდე ბირთვული ქობინია (მათ შორის არანაკლებ 1000 გააქტიურებულია, ანუ მზად არის გამოსაყენებლად) რომელთა დიდი ნაწილი ე. წ. ბალისტიკურ რაკეტებზე (ფრენის სიშორე 1000 დან 18 000 კმ-მდეა...) და ოკეანეებში მცურავ სწრაფმავალ წყალქვეშა ნავებზეა განთავსებული...

ამდენად, რუსეთისა და უკრაინის მესვეურებს ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას ვთხოვ და, პირველ რიგში, საკუთარი ხალხის ინტერესებში მორიგება-შერიგებას ვუსურვებ. არაგონივრულია (ველურობაა) ევროპაში მცხოვრები, თანაც მომაკვდავ ერად მიჩნეული სლავების ორი ჯგუფი XXI საუკუნეში ერთმანეთს ქვემეხებს უშენდეს, „მტრის“ დახოცილი ჯარისკაცების რიცხვით იწონებდეს თავს ან ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრებოდეს...

გაუმარჯოს უკრაინას! დიდება გმირებს! ცხადია, ეს წერილიც უკრაინელი ხალხის მიმართ პატივისცემამ და კეთილგანწყობამ დამაწერინა, ხოლო გამოქვეყნება, ამ ბოლო დროს, რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის თაობაზე გახშირებულმა განცხადებებმა გადამაწყვეტინა...

ავთანდილ კახნიაშვილი,
სამართლის დოქტორი

რუსეთი შავ ზღვაში ამერიკის გემებს ბლოკავს

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ ქვეყანაში სურსათის მკვეთრი დეფიციტი გამოიწვია, რაც გლობალური სასურსათო კრიზისის წინაპირობებს ქმნის. ამის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ვენდი შერმანმა განაცხადა. მისი განცხადებით, რუსმა სამხედროებმა იერიში მიიტანეს სულ მცირე სამ სამოქალაქო გემზე, რომლებსაც შავი ზღვის აკვატორიიდან ტვირთი გადაპქონდათ. ასევე, შერმანის თქმით, რუსეთის საზღვაო ძალები ახდენენ უკრაინული პორტების ბლოკირებას, რაც კიევს მარცვლეულის ექსპორტის შესაძლებლობას არ აძლევს და რის გამოც სურსათით დატვირთული 94 გემი ხმელთაშუა ზღვაში ვერ გადის.

„ვიდრე პუტინი თავის ომს აგრძელებს, ვიდრე რუსული ჯარი უკრაინულ ქალაქებს ბომბავს და ჰუმანიტარულ კოლონებს ბლოკავს, ვიდრე მშვიდობიანი მოსახლეობა უსაფრთხო ადგილზე გადასვლას ვერ ახერხებს, ეს ჰუმანიტარული კრიზისი მხოლოდ გაძლიერდება. ეს ომი ვლადიმერ პუტინმა დაიწყო. მან გლობალური სასურსათო კრიზისი შექმნა და მხოლოდ მას შეუძლია ამის შეჩერება“, – განაცხადა შერმანმა. მისივე თქმით, რუსეთი და უკრაინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი მწარმოებლები არიან, ხოლო მსოფლიოში ხორბლის ექსპორტის 20%, სიმინდის ექსპორტის 20% და მზესუმზირის ზეთის ექსპორტის 75% შავი ზღვის რეგიონზე მოდის.

თავზე უნდა დაამხო რუსეთს თავისივე გაველურებული მთავრობა, მაგრამ...

ომი გამარჯვებული არ არსებობს!

მარტი. რა იყო ეს, რა ანჩხლი მარტი იყო... თავს დაგვესხა, ზამთარი შემოგვიბრუნა. გაზაფხულის სურნელი დაგვიხშო. მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ველით გაზაფხულს. ის აუცილებლად მოვა! და რაც არ უნდა ხდებოდეს ჩვენს თავს, დარწმუნებული ვართ, რომ სულ მალე, სულ მალე გაზაფხულდება...

მაგრამ რომელი გაზაფხულის მზე უშველის იმას , რაც უკვე აღარ სუნთქავს, მოკვდა, გაიყინა. ძნელია აღწერო რა ხდება ჩვენ თავს, უკრაინის თავს, რუსეთის თავს, ამერიკის... და საერთოდ მსოფლიოს თავს, სულ გაგიჟდნენ, გადაირივნენ. ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაში გართულებს, რა ემართებათ, საითკენ მიილტვიან... სიკვდილისკენ, დედამიწის ზურგზე სიცოცხლის მოსპობისკენ? შენ ჩემისთანა რატომ არა ხარო, ან კიდევ უარესი - ჩემი მორჩილი რატომ არა ხარო? ეს რა კოშმარია, ეს არის კაცობრიობის წინსვლა?

კი ბატონო, რუსეთი „კაი კაცია“, ჩვენზე უკეთ ვინ იცის მისი ავკარგი, მაგრამ შენ თუ უფრო კარგი კაცი ხარ, გული როგორ არ გისკდება იმ მსხვერპლზე, ათასობით ადამიანთა ტანჯვასა და ვაებაზე, ბომბებითა და სხვა საშინელი იარაღით უძლური და უსასოო ადამიანების განადგურებაზე, რაც ახლა უკრაინაში ხდება და, რაც ადრე, არც თუ ამერიკის ჩაურევლად, სხვა ქვეყნებში ხდებოდა და ახლაც ხდება?

ახლახან ქალბატონი კელი დეგნანის, ამერიკის ელჩის სიტყვა მოვისმინე... ნამდვილად ბევრი რამ გასათვალისწინებელი აქვს საქართველოს მთავრობას... თანადგომისთვის და სიყვარულისთვის დიდი მადლობა ამერიკელ ქალბატონს, მაგრამ მომეჩვენა, რომ მეგობარი ქვეყნის სახელით კი არ საუბრობდა ელჩი . არა, დატუქსულ ბავშვის როლში გამოგვიყვანა, ბავშვისა, რომელსაც სიარულიც კი ცუდად უსწავლია, ფეხზე ვერ დამდგარა, სახელმწიფოს მართვას კი ეპოტინება. სამწუხაროდ, ჩემი გაუთვითცნობიერებლობის ბრალია, ალბათ... სულიერებაზე, მის შინაგან ზნესა და ჩვეულებებზე საუბარი მაქვს მხედველობაში. საქართველო ათასწლოვანი კი არადა, მინიმუმ სამიათასწლოვანი ქვეყანაა, ქართველი ხალხი უძველესი ერია მსოფლიოს ხალხებს შორის და, როდესაც მასზე ლაპარაკობ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ ხალხის იდენტობა, მისი ფსიქოლოგიური წყობა. იგი ქართული გენეტიკით თავისთავადი, მაგრამ ევოლუციური ერია, წინმიმავალი, მზარდი და არა გადაჯიშებული ან გადასაჯიშებელი. რაც არ უნდა ვეცადოთ, ვერ იქნება ქართველი ერი ტყუპისცალივით ვინმეს მსგავსი. თქვენ წარმოიდგინეთ, დემოკრატიულობა და თავისთავადობა ჩანასახშივე ახასიათებდა ქართველ ერს, თუ ისტორიას გადავხედავთ (გადავხედავთ კიარა და, ჩავწვდებით!) მივხვდებით, რისი თქმა მინდა. ჩვენ, ჩვენს ზნესა და ჩვეულებებზე აღმოცენებულთ, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდება ლგბტსა და მსგავსთა პარადების შეგუება, მანჭვა-გრეხვა და „მე ჩემს სხეულს რასაც მინდა იმას ვუზამ!“ – ასეთი პლაკატებითა და შეძახილებით დამშვენებული, ზრდილობის ყოველგვარ ზღვარს გადასული გოგო-ბიჭების ქუჩებში გამართული ხუნტრუცის ცქერა, არ რის სასიამოვნო საყურებელი. დიახ, ბევრ ჩვენთაგანს უჭირს ასეთ პარადებთან შეგუება, ისე, როგორც ნებისმიერ კულტურულ ერს გაუჭირდება ქურდებისა და გაიძვერების (ისინიც ხომ უმცირესობაში მყოფი ადამიანები არიან!) პარადები. განა ისინი, ანუ, ეგრეთ წოდებული ლიბერასტები ნაკლებად აზიანებენ ადამიანის მორალს თავიანთი უხამსი გამოსვლებითა და „თვალსაჩინოებებით“?

ლგბტური დაავადებებით ადამიანები ადრეც გვყოლია, ახლაც გვყავს და სამწუხაროდ, მომავალშიც ეყოლება ქვეყანას, ჩვენ მათ ადამიანებად ვთვლიდით და არასოდეს გამოგვიყვია საზოგადოებისაგან, ახლა კი, „განსაკუთრებულობით“ თავად გამოიყვეს თავი ჩვეულებრივი საზოგადიებისგან და სექტებიც კი ჩამოაყალიბეს. ეს პატივცემული დემოკრატები, ვიღაც, გაურკვეველი, საზღვრის შიგნითა თუ საზღვარგარეთელ ორგანიზაციებისგანაც კი უხვად ფინანსდებიან. ასე რომ, თუ დემოკრატიას თავის სრულფასოვან მნიშვნელობას მივცემთ, ასეთ შემთხვევაში, ლგბტს მოწინააღდეგეებსაც აქვთ უფლება მშვიდობიანად გამოხატონ თავიანთი აზრი, თავიანთი სათქმელი და ეს უკანასკნელნი არავისი გასაკრიტიკებელ - დასამცირებლები არ უნდა იყვნენ, მით უმეტეს, ასაკრძალავი., მაშინ, როდესაც მომხრეებიც საკმაოდ ბევრი ჰყავთ!

სხვაგან წავედი... სულ სხვა მტკივნეული ფიქრებით და გრძნობებით დატვირთულს, ახლა რა მეელგებეტება. დაუნდობელი ომია უკრაინაში. უცოდველი ბავშვების სისხლი იღვრება, იხოცებიან მშვიდობიანი, უბრალო ადამიანები. ჯერ-ჯერობით გადარჩენილებს კი საოცრად არაჰიგიენურ პირობებში, მშიერ-მწყურვალთ, სადღაც მიწისვეშეთში თავშეფარებულთ უწევთ სიცოცხლე... არ აშენებდნენ უკრაინელები დემოკრატიას? არ იყვნენ ევროპული იდეებით და სულისკვეთებით გაჟღენთილები? ვინ იტყვის, რომ არაო! და მერე რა ? არ დაესხა თავს რუსეთი, არ იცოდა ამის შესახებ დანარჩენმა სამყარომ და დემოკრატიის უძლეველმა პედაგოგებმა? ეჰ, ყველაფერი ყველამ (რა თქმა უნდა, უპირველესად იმან, ვინც ზესახელმწიფოებას იბრალებს, აბა, რა, დიდი ვარ და უმდიდრესიო!) კარგად იცოდა! რამდენიმე თვით ადრე გაჰყვიროდნენ კიდეც, არიქა, რუსეთი თავს დაესხმება უკრაინასო! და მერე? ჰო, მერე ის, რომ საომარი იარაღებით ამარაგებენ, აღშფოთებას და შეშფოთებასაც გამოხატავენ, მაგრამ აბა, ერთი ვკითხოთ ბატონ ზელენსკის, უკრაინა თუ რა დღეშია. ვის შეეპარება ეჭვი ზელენსკის გმირობასა და პატრიოტობაში, იმ ამაღელვებელი და დაუნდობელი სურათების შემდეგ, რასაც უკრაინიდან გადმოგვცემენ. მაგრამ გმირობა არ ნიშნავს სიბრძნეს. ზელენსკიმ დაიჯერა, თავი უნდა დავიცვათ და მერე, ალბათ, გაჭირვების ჟამს შემოგვიერთდებიან ჩვენი მეგობრებიო. მიწასთან ასწორებს რუსეთი უკრაინას (თავის ხალხსაც არად აგდებს, არავინ და არაფერი ენაღვლება, საწადელს უნდა მიაღწიოს, უკრაინის მიწის პირისაგან აღგვის ფასად, თუნდაც მთელი რუსი ახალგაზრდობის სიცოცხლის ფასად!) არ მეგონა კი, თუ რუსეთი ასეთ იდიოტურ ნაბიჯს გადადგამდა. უფრო სწორად, ერთი მხრივ იდიოტურს, მეორე მხრივ - მხეცურს. მხეცური მისგან გასაკვირი როდია, მაგრამ ამ ნაბიჯმა მას რაღაც პირობითი გამარჯვებაც რომ მოუტანოს, სახელს, იმიჯს, ავტორიტეტს მიწამდე დასცემს. ახლა აქეთა მხარეს გადავხედოთ. სულელი თუ იტყვის უკრაინა იმარჯვებსო. ჩვენც ხომ „გავიმარჯვეთ“ 2008 წლის ომში!. (ჭკუა რომ ვერ ვისწავლეთ და ახლაც რომ არიან დღევანდელ დამღუპველ ომში ჩათრევის მსურველები!). ისემც გაიმარჯვოს ჩვენმა მტრებმა!.. რა ქნას ახლა უკრაინამ , ვის ელოდოს, რას ელოდოს. ევროკავშირში მაინც მიგვიღეთო. საქართველოც არის გახვეული ამ გაუგებრობაში... რას ამბობთო, ომში ბრძანდებით, წელში გაწყვეტილები, მშიერ-მწყურვალები... ასეთი ქვეყნის ევროკავშირში მიღება ჩვენს პროტოკოლში არ არისო. ვერაფერი გავიგე, ძვირფასო მკითხველო, თუ თქვენ გაიგეთ რამე, იქნებ ამიხსნათ. ახლა უჭირს უკრაინას და ახლა უნდა ევროკავშირის წევრობით მომაგრება, რუსეთზე თითის დაქნევა... აბა, თუ უკრაინა თავად ააშენებს ახალ, ძლიერ, მაძღარ, მდიდარ, დემოკრატიულ ქვეყანას, მერე, ევროკავშირის წევრობას რა თავში იხლის!

ხედავთ, ქართველებო, თუ მაინც ვერ ხედავთ, რაშია საქმე. ახლა ვითვალოთ, ვინ ვის რამდენი თვითმფრინავი ჩამოუგდო, ვინ ვის რამდენი ადამიანის სიცოცხლე მოუსპო, ფაქტი ის არის, რომ ჩვენს თვალწინ ნადგურდება ერთი დიდი, ოდესღაც მდიდარი და აყვავებული სახელმწიფო. ამ საოცარ მსოფლიო დავიდარაბაში დიდი ჩინეთი (მართლაც რომ დიდი!) განზე დგას , თუმცა, განზე დგომა არც სხვებს აკლიათ. ნეტავ რა მოხდება ხვალ, რუსეთისადმი ეკონომიკისა და მრეწველობის სანქციებით რას მიიღებს უკრაინა, რას მიიღებს დანარჩენი მსოფლიო. ეკონომიური ვარდნაა ყველგან. სანქციები კი არა და, რუსეთს თავზეც უნდა დაამხო თავისივე გამხეცებული მთავრობა, მაგრამ რა ეშველება აწი უკრაინას, როგორ გვინდა მისი გამაგრება და გამარჯვება. თუმცა კარგად ვიცით, რომ სადაც ადამიანობაა, ომში გამარჯვებული მხარე არ არსებობს!..

გულნარა სტურუა

(მეორე გვერდიდან)

და აი, ეს დროც მოვიდა – ფიალა საბოლოოდ გადაავსო, **ერთი მხრივ, მოლაპარაკებაზე გამოტანილმა შეთანხმების პირობებმა და მეორე მხრივ, ზელენსკის მორიგმა „გაგულავებამ“ დაუკრეფავში, „მეგობარი“ საქართველოს სახელმწიფოებრივ თავმოყვარეობაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას**. კარგად აღნიშნა ირაკლი კობახიძემ – **საქართველოში ოპოზიციაში მყოფი ძალა უკრაინაში ხელისუფლებაშიაო**. მოდით, ისიც გამოვიტანოთ სააშკარაოზე, რაც ამ ნათქვამის მიღმა, დამატებით, იგულისხმებოდა – რომ საქმე, არც მეტი არც ნაკლები,

ტყემალზე ზის და „ტანკს“ ჭამს!..

მართლა ამოვიდა ყელში!

საქართველოში მრავალ სისტემურ დანაშაულში მხილებულ, „მეხუთე კოლონად“ ჩამოყალიბებულ ე.წ. პოლიტგაერთიანებას ეხება და რომ **ეს უკრაინულ-ქართული ტანდემი, წლებია, ჩვენს ქვეყანაში არეულობებს გეგმავს.**

მართლა ნა ხ... რა... **როცა ერთხელ შეგეშლება, შეიძლება მართლა განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანის წამოცდენაში ჩაგითვალო, მაგრამ ყოველ დილა-საღამოს რომ...** დავაი, რა,.. შე ძალად (რედაქტორო, არ შემისწორო) პოლიტიკოსო...

რუსთველისა და ილიას შთამომავლებს ათასწლეულებგამოვლილი გენი გვკარნახობს, რომ **ჩვენი ქვეყნის, ჩვენი სამშობლოს ღირსება ყველა სხვა ქვეყნის ნებისმიერ ინტერესზე ძვირი უნდა გვიღირდეს!**

სხვა კუთხითაც რომ შევხედოთ მოვლენებს, არც იმის შესახებ მსმენია ოდესმე რაიმე, რომ პოლიტიკაში ტყუილი შეიძლება კეთილი შედეგის მომტანი იყოსო, არც მთლიანობაში, არც ალაგ-ალაგ და არც შიგადაშიგ. აქედან გამომდინარე, **ვფიქრობ, დღეიდან ღიად შეგვიძლია განვაცხადოთ (რაც აქამდეც ვიცოდით), რომ ზელენსკი და მისი ხელისუფლება არ არიან საქართველოს მეგობრები, რომ უკრაინელი ხალხი და უკრაინის ხელისუფლება, ჩვენთვის, სხვადასხვა სიბრტყის, სხვადასხვა განზომილების ცნებებია.**

დიდება უკრაინას! დიდება საქართველოს!

ბიძინა დვალი,
31.03.2022 წ.

ᲛᲣᲓᲐᲰ ᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲥᲛᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ, ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ – 90



90 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ თვალსაჩინო ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ᲝᲗᲐᲠ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲝᲗᲐᲠ!

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲙᲝᲚᲔ�გᲐᲕ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდზე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ, ამაგდარ შემოქმედს და მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

ეს ოთხმოცდაათი წელი სამშობლოს უებრო, ვაჟკაცური მსახურების ერთი ჩინებული ნიმუშია.

მკითხველი ათწლეულების განმავლობაში თქვენ გიცნობდათ, როგორც ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ობიექტურ, პირუთვნელ, ქედუხრელ კალმოსანს, რომელიც მუდამ მისი საესავი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს იცავდა და დაუნდობლად ამხელდა ყველას, ვისთვისაც ჩვენი ნაგვემი, მაგრამ ქედუხრელი მამული მათი სამარცხვინო, მზაკვრული, ვნებების დასაკმაყოფილებელი ასპარეზი იყო და არა ის წმიდათაწმიდა ტაძარი, სადაც მუხლმოდრეკილმა არსთაგამრიგეს უნდა შეავედრო შენი ქრისტესავით ჯვარცმული ერი.

უკვე გამობრძმედილმა თვალსაჩინო ჟურნალისტმა მწერლობაშიც სცადეთ ბედი. 1981 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნეთ პირველი მოთხრობები და მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველმა მკითხველმა, გემოვნებიანმა და მომთხოვნმა, მიიღო თქვენი პროზაული კრებულები %„ნიღბების დღესასწაული“, „სიბრძნე სიცილისა“, „რაფრა მოვიქცეთ ახლა ჩვენ“, „ელამი სარკე“, „ცხოვრება ღიმილით“...), რომლებშიც თავმოყრილ მოთხრობებში, ნოველებსა თუ ფელეტონებში ქვეყნის ჭირი-სუფლის სულიერ ქურაში ნაწრთობი პოზიციაა დავანებული. გვხიბლავთ ჯანსაღი და უბოროტო იუმორით, მრავალფეროვნებით, სისხარტითა და უზადო თავანკარა ქართულით...

მთელი ცხოვრება ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას შეალიეთ. იყავით თელავისა და ახმეტის რაიონული გაზეთების მთავარი რედაქტორი, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგე, გაზეთ „რესპუბლიკის“ ლიტერატურული მუშაკი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განყოფილების რედაქტორი...

ღვაწლი დაგიფასდათ. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით. მონიჭებული გაქვთ ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიები. სრულიად დამსახურებულად ატარებთ ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებას.

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲝᲗᲐᲠ!

მართლაც რომ სამაგალითოა თქვენი ობიექტურობა, პირდაპირობა, მართლის თქმის პრინციპის ერთგულება. ამის ჩინებულ მაგალითს თუნდაც ის ფაქტი წარმოადგენს, რომ შემდგენელი და რედაქტორი ხართ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის მედეა მეზვრიშვილისადმი მიძღვნილი პუბლიცისტური კრებულისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, რომ საბჭოური ეპოქის ზოგიერთ პარტიულ მოღვაწესთან ახლოსაც ვერ მივა თანამედროვე საქართველოს არაერთი ნომენკლატურული მუშაკი.

თქვენი მეგობრები ძალზე განვიცდით, რომ ბედისწერამ სიჭარმაგეში არაერთი მეტად მტკივნეული დარტყმა მოგაყენათ. გვინდა გვჯეროდეს, რომ ვაჟკაცურად გაუძლებთ ამასაც...

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშობელი ქვეყნის სამსახურში ბოლომდე დახარჯულ შემოქმედს, გისურვებთ დღეგრძელობასა და მზეგრძელობას, თქვენი ოცნებების ხორცშესხმას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ გაერთიანება „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲘ“ უერთდება საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმებას და ბატონ ოთარ ხუციშვილს – შესანიშნავ მწერალსა და გულანთებულ მამულიშვილს ულოცავს საიუბილეო თარიღს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲙᲐᲚᲛᲘᲡᲐ...

ᲩᲔᲛᲡ მეგობარსა და ძმას ოთარ ხუციშვილს მხურვალე გულით ვულოცავ სიბრძნისა და გამოცდილების მწვერვალზე ოთხმოცდამეათე საიუბილეო დღეს!

გულზე შემოგრჩა
დარდის იარა,
მუდამ —
მამულზე ფიქრით
ივსები...
მეფე ხარ, —
დასტურ,
ტანტით კი არა,
შენი სიბრძნით და
შენი ღირსებით...
წლები მოგდევენ
ერთგულ მაყრებად,
მეუფევ —
ნაღდი სიტყვის
ალმისა...
საუკუნეებს
სხივად გაჰყვება —
გამონათება
შენი კალმისა...

ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖ ᲠᲐᲘᲜᲐᲣᲚᲘ, თელავიდან.

ᲝᲗᲐᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

ᲡᲣᲚᲐᲪ არ გადავამეტებ, თუ ვიტყვი, რომ ოთარ ხუციშვილი, ძალიან ბევრისგან განსხვავებით, ის ჟურნალისტია, ვისაც თავისი მკითხველი მუდამ ჰყავდა და ჰყავს, რომელიც ელოდებოდა და ელოდება ოთარ ხუციშვილის ხელმოწერით გამოქვეყნებულ ჟურნალისტურ მასალას. ამიტომ ეჭვშეუვალად მიმაჩნია, არ ვიცი როდის, მაგრამ როცა დაიწერება ჩვენი დროის ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, იქ ოთარ ხუციშვილის სახელ-გვარს გვერდს ვერ აუვლიან.

ოთარს თავისი მარილიანი სიტყვა აქვს ნათქვამი აგრეთვე როგორც მწერალს, არავისი მსგავსი მოთხრობების რამდენიმე კრებულის ავტორს. ოთარ ხუციშვილი ხალხური სიტყვიერების კრებულის ავტორია. ოთარ ხუციშვილის ხალხური სიტყვიერების მადლით ნასაზრდოები იუმორი, არც თუ იშვიათად სატირულ სიმძაფრეში გადაზრდილი, იქნებ ერთხელ შესწავლის საგანიც კი გახდეს.

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲣᲐ�გᲣᲚᲨᲘ ᲛᲝᲢᲠᲘᲐᲚᲔ

ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ მომხდარა, ოთარ ხუციშვილის ფელეტონი, იუმორესკა, სხარტულა წამეკითხოს (იგი უფრო ხშირად „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ ავტორია) და რომელიმე მათგანი მაინც არ მომწონებოდეს, იმედგაცრუებული დავრჩენილიყავი.

გრიგოლ აბაშიძემ მითხრა ერთხელ, ძალიან მიყვარს კახური იუმორიო.ოთარ ხუციშვილის მშობლიური მხარეც კახეთია და მის ხუმრობასაც საკმაოდ ჭარბად დაჰყვება კახური მადლი. მას არ უყვარს მქადაგებელ-დამმოძღვრავი, მოსაწყენი შესავლების წამძღვარება, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ იწყებს სათქმელს, ხოლო რასაც წერს, ცხოვრების შუაგულში მოტრიალე, ზედმიწევნით იცის, სამიზნესაც ზუსტად არჩევს.

ᲔᲛᲖᲐᲠ ᲙᲕᲘᲢᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲟᲘᲡ ᲛᲔᲡᲢᲘᲐᲜᲘ

„ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსის „საერთაშორისო ფესტივალებისა და მასტერკლასების ხელშეწყობა (კინო, თეატრი, ფოტო, ანიმაცია, თანამედროვე მუსიკა)“ გამარჯვებული პროექტები გამოავლინა. ᲔᲡᲔᲜᲘᲐ:

1. „მე-10 ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი **„ნიქოზი“,** განმახორციელებელი ა(ა)იპ „წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა“;

2. ფოტო კვირეული **„ქოლგა თბილისი ფოტო 2022“,** განმახორციელებელი – შპს „თბილფოტო“;

3. საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი **„თაობა 2022“,** განმახორციელებელი – ა(ა)იპ „კულტურის და განათლების ფონდი“;

4. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი **„საჩუქარი“,** განმახორციელებელი – ა(ა)იპ „მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი საჩუქარი. თბილისი. საქართველო“;

5. „სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი“, განმახორციელებელი – შპს „სვანეთის კინოსტუდია“;

6. ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „მაჩაბელი“, განმახორციელებელი – სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

7. „თბილისის მე-5 საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი“, განმახორციელებელი – ა(ა)იპ „ანიმალაბი“;

8. კავკასიის მუსიკალური ფესტივალი/დაჯილდოება – **„ფენიქსი 22“,** განმახორციელებელი – ა(ა)იპ „კავკასიის თანამედროვე ხელოვნების ფაბრიკა“;

9. „მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 2022“, განმახორციელებელი – ა(ა)იპ „მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი“;

10. „ჯონ სტენმეიერის დოკუმენტური ფოტოგრაფიის ვორქშოპი“, დაფინანსდა ვორქშოფის ჩატარება; განმახორციელებელი – ა(ა)იპ „კულტურა და კონტაქტები“. კონკურსის ჯამური ბიუჯეტი შეადგენდა 500 000 ლარს და მის ფარგლებში სამინისტროს 39-მა განმცხადებელმა მომართა.

SOS! ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ 2 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘᲐ – 5

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე დაპირისპირებას 2 ადამიანი ემსხვერპლა, დაჭრილია 5 პირი. შემთხვევა 3 აპრილს, გვიან ღამით მოხდა.

დაჭრილები რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმის განმარტებით, ერთ-ერთ მათგანს, 34 წლის პაციენტს ცეცხლსასროლი ჭრილობები აღენიშნებოდა დუნდულების და ტორსის მიდამოში. პაციენტს სათანადო კვლევები და ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. ექიმის თქმით, დაჭრილის მდგომარეობა, ამ ეტაპზე, სტაბილურია.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 109-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას და დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას გულისხმობს. გავრცელებული ინფორმაციით, მკვლელობას წინ უძღოდა ურთიერთშელაპარაკება.

ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲘᲐᲙᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ...

ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, მეუღლის გაუპატიურების, არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის არაერთგზის ცემის, მუქარის, თვითმკვლელობამდე მიყვანისა და, წინასწარი შეცნობით, თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი შვილების მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედების ბრალდებით, კახეთში 1982 წელს დაბადებული დ.გ. დააკავეს, – ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ ბრალდებული დ.გ. საკუთარ მეუღლეზე – 1993 წელს დაბადებულ თ.ც.-ზე. გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სისტემატიურად ძალადობდა. გარდა ამისა, ბრალდებული მეუღლეს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ სქესობრივი კავშირის დამყარებას აიძულებდა, ხოლო არასრულწლოვანი შვილების მიმართ გარყვნილ ქმედებებს ახორციელებდა“, – აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

დანაშაულები 10-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ფიტოპრეპარატი „სულაჟერი“ სამედიცინო შედეგია!

ალექსანდრე თავართქილაძემ უკვე საკმაოდ დიდი სიტყვა თქვა ქართულ და მსოფლიო მედიცინაში.

მის მიგნება-აღოჩენებს რომ ჩავწვდი, გაოცება ვერ დავმალე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს. თვალნათლივ წარმოვიდგა, თუ რამდენი უძილო ღამის გათენება და შრომა დევს ამ ახალგაზრდა მკურნალის მიღწევებში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე თავართქილაძემ საუკეთესო განათლება მიიღო და გამოცდილება დააგორვა ევროპისა და მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებში. (გაიარა რეზიდენტურის სრული კურსი ლუი პასტერის სახელობის უნივერსიტეტში Civil-ის ჰოსპიტალის ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის დეპარტამენტში – რეზიდენტურა-დოქტორანტურა, სპეციალობით ონკოლოგია და ჰემატოლოგია, სრული ინტერნის კურსი სპეციალობით – შინაგანი მედიცინა (საფრანგეთი, პარიზი 2012), კლინიკური ონკოლოგიის და იმუნოთერაპიის გაძლიერებული კურსი (Paris Sud University 2014, Gustave Roussy -ის ინსტიტუტის ბაზაზე, 2014), პერსონალიზებული მედიცინის და მოლეკულური ონკოლოგიის სადიპლომო სწავლება – Paris-Descartes უნივერსიტეტში (2016), უჯრედული თერაპია და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია – სორბონის უნივერსიტეტი (2018)... ეს ჩამონათვალი კიდევ რამდენიმე თაბახის ფურცელს მოიცავს და ამიტომ აქ შევჩრდები...

დღეს, ბატონი ალექსანდრე პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორია, აგრეთვე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ექსპერტი კლინიკურ ონკოლოგიასა და სამედიცინო გენეტიკაში. ექიმი ონკოლოგი და გენეტიკოსი, 2008 წლიდან დღემდე თსსუ-ს პროფესორია. ფლობს 4 ენას. ღვთითბოძებული ნიჭით დაჯილდოვებული, უაღრესად კვალიფიციური ექიმი წლებია უამრავ კვლევაშია ჩართული, რასაც მოწმობს მისი უკანასკნელი მიღწევა.

პანდემიასთან ბრძოლაში დღეს მთელი მსოფლიოა ჩართული. ასეთ დროს ჩვენს პატარა ქვეყანაში აღმოჩნდა ადამიანი, რომლის პრეპარატმაც ამ ვერაგი ვირუსის დამარცხება შეძლო. კოვიდის სამკურნალო წამალი, პრეპარატი „სოლაჟერი“ სუბსტანციაა, რომელმაც გამოავლინა ანტივირუსული მოქმედება. ის ვირუსის გამანეიტრალებელი, გამაჯანსაღებელი წამალია, რომელმაც საოცარი შედეგები აჩვენა კოვიდ-19-ის პანდემიასთან ბრძოლაში. ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატი, კაფსულები და პერორარული ამპულებია.

მან პრეპარატის კვლევა სტრასბურგში სწავლის დროს, 2009 წელს დაიწყო. იგი გამიზნული იყო პაპილომა ვირუსების სამკურნალოდ. 2020 წელს პანდემიის დაწყების შემდეგ, მასზე კვლევები კვლავ განახლდა. ფრანგ კოლეგებთან რეკომენდაციის გავლის შემდეგ, პრეპარატი ინ ვიტრო კვლევაზე გაიგზავნა თურქეთში და დადასტურდა მისი ზემოქმედება ლენტავირუსული ხაზის ყველა წარმომადგენელზე. ეს არის მცენარეული მედიკამენტი. იგი ყველაზე ეფექტურია ინფიცირებიდან რამდენიმე დღეში, თუმცა აგრეთვე გამოიყენება პოსტ-კოვიდის შემდეგაც.

2022 წლის 4 მარტს, როგორც „საქართველოს რესპულიკა“ უკვე იუწყებოდა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შედგა ფიტოპრეპარატ „სულაჟერის“ პრეზენტაცია. იგი წარმოადგენს ბიოლოგიურ პრეპარატს, რომელიც მიღებულია მცენარე ზწდნპწტგქ სგთზშვფეგქ-ის (დვალურა) დაშლით, აქტიური ნივთიერების განცალკევებით და შემდეგ თავიდან ნივთიერებათა სხვადასხვა კონცეტრაციების შეზავებით, რაც მას უნიკალურ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კონცენტრატად აქცევს, რომელიც ფლობს გარკვეულ ფარმაკოლოგიურ მოქმედებას.

მასში არის ისეთი ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ფიბროზული ქსოვილების წარმოშობას. ამ ეტაპზე, სამ კლინიკაში ჩატარდა კვლევა, დაკვირვება მიმდინარეობდა 155 პაციენტზე და საბედნიეროდ ყველა მათგანი გამოჯანმრთელდა. მკურნალობის დროს უმჯობესდება პაციენტის ზოგადი მდგომარეობა. თავად ექიმი-ინფექციონისტებიც გახლდათ ამ პრეპარატის მომხმარებლები.

რაიმე განსაკუთრებული გვერდითი მოვლენები წამალს არ ახასიათებს. ჯერჯერობით აქტიურად გრძელდება მოლაპარაკებები წამლის წარმოებაში ჩაშვების თაობაზე.

თბილისის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილური კლინიკის კლინიკური მენეჯერი ზაზა ლურსმანაშვილი სხვადასხვა ასაკის პაციენტებში „სულაჟერის“ გამოყენების ეფექტს დინამიკაში აღწერს და წერს, რომ აღნიშნული დანამატი სამედიცინო შედეგია.

ქართველი ექიმი მსოფლიოს მასშტაბით კიდევ არაერთ კვლევაში თუ სამუშაო პროცესშია ჩართული. მისმა გუნდმა მიიღო მნიშვნელოვანი აღიარება „მაკრონის“ფონდისგან სოლიდურ სიმსივნეებზე წარდგენილ პროექტში და აგრეთვე მეორე პროექტზე, რომელიც ეხება ბაქტერიოფაგებს.

– ჩვენ ვიმყოფებით იმ ერაში, როდესაც ანტიბიოტიკების ეფექტურობა შესაძლოა საერთოდ ამოიწუროს, ასეთ შემთხვევაში ბაქტერიოფაგებმა შეიძინეს ძალიან დიდი მნიშვნელობა და უამრავი გრანტები გაიცემა ამ მიმართულებით. ჩვენი ინოვაცია მდგომარეობს იმაში, რომ ეს გახლავთ „კავკასიის ენდემური ბაქტერიოფაგები“, რომლებიც სხვაგან არსად გვხვდება. როდესაც გერმანიაში გაშიფრეს გენეტიკური სტრუქტურა, მსგავსი სტრუქტურის ბაქტერიოფაგი კლასიფიკაციაშიც არსად აღმოჩნდა, – განაცხადა ბატონმა ალექსანდრემ.

ასევე უმნიშვნელოვანესია ჩვენს ქვეყანაში პერსონალიზებული მედიცინის დანერგვა. საქართველოში ამ პროექტის განხორციელებაში ჩართულია პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტის მკვლევარ ექიმთა ჯგუფი, ხოლო ჯგუფის ხელძღვანელები გახლავთ პროფესორი **ალექსანდრე თავართქილაძე** და პროფესორი **გაიანე სიმონია.**

მედიცინა პერსონალიზებული უნდა იყოს. ინდივიდუალურად უნდა ხდებოდეს პაციენტის მკურნალობის მეთოდის შერჩევა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ნებისმიერი პაციენტის გენეტიკა. დღესდღეობით, ძალიან ბევრ დაავადებას არ აქვს პრევენციის ან ეფექტური მკურნალობის გამართლებული საშუალება. ეს არის უზუსტესი მედიცინა, აბსოლუტურად ახლებური მიდგომა დაავადების მკურნალობის და პრევენციის მიმართ, რომელიც მხედველობაში იღებს ინდივიდუალურ ცვალებადობას გენებში, გარემოში და ცხოვრების სტილში.

პერსონალიზებული ონკოლოგიის, კარდიოლოგიის, ნეფროლოგიის, ენდოკრინოლოგიის მეთოდების ნაწილი უკვე ინიცირებულია მათ კლინიკაში და მალე ხელმისაწვდომი გახდება საქართველოს მოსახლეობისთვის. პროექტის ზედამხედველობაში ქართველ ექსპერტებთან ერთად, ჩართულია უცხოელი მკვლევარები საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, აშშ-დან, კანადიდან, იაპონიიდან და ავსტრალიიდან.

– ჩვენი ალეკო ექიმი, ასე მიმართავენ მას გულისხმიერი პაციენტები. ეს არის ადამიანი, რომელსაც უმძიმეს სენთან მებრძოლი თითოეული პაციენტის სევდა, ემოცია და ისტორია გულით დააქვს. სწორედ მისი თავდადება, განწყობის ამაღლება და გვერდით დგომის საოცარი უნარი აძლევს თავის პაციენტებს უდიდეს სტიმულს.

მკურნალობის პროცესში მყოფ ადამიანებს ხშირად აღუნიშნავთ, უამრავ საქმიან ფერხულში ჩაბმულ, „ყველას პირად ექიმს“ როგორ შეუძლია ასე გულთან მიჰქონდეს თითეული მათგანის თხოვნა. ის ყველას ზარს პასუხობს. აცრემლებული, გულდამძიმებული ადამიანის გაღიმება მისი მკურნალობის მნიშვნელოვანი მიდგომაა, იმედის, ბრძოლის და გამარჯვების სურვილის გაღვივებასთან ერთად. ის არა მარტო საუკეთესო ექიმი, არამედ უკეთესშობილესი ადამიანიც გახლავთ! საოცარი თავმდაბლობა აყენებს მას პროფესიონალი მკურნალის უმაღლეს კვარლცხბეკზე.

ბატონ ალექსანდრეს რამდენიმე დღის წინ იუბილე ჰქონდა (სულ რაღაც 40 წლის გახდა). ჩვენ გვინდა თითეული პაციენტის სახელით მივულოცოთ მას ეს დღე. ვუსურვოთ კიდევ მრავალი გამარჯვება ცხოვრებაში. გმადლობთ, რომ ჩვენი ადამიანების სიცოხლის სადარაჯოზე მუხლჩაუხრელად დგახართ.

რუსუდან ქოგულია





P.S. **ალექსანდრე თავართქილაძე მრავალი ნაშრომის თუ პოპულარული წიგნის ავტორი და თანაავტორია. ამ ფოტოებზე სამ მათგანს წარმოგიდგენთ.**

◎ ხალიჩაზე

უნვი ნადავლით

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ზურაბ იაკობიშვილი ოქროს მედალს დაეუფლა. გარდა ამისა, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბექა ბუჯიაშვილმა და ვლადიმერ გამყრელიძემ.

70 კგ წონით კატეგორიაში ზურაბ იაკობიშვილმა შვეიცარიელი მარკ დიტშჩე 5:1 დაამარცხა, რასაც ბულგარელ რამაზან რამაზანოვთან გამარჯვება მიაყოლა (12:2), ხოლო ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ზირადინ ბაირამოვს 4:3 აჯობა და ფინალში გავიდა, სადაც სომეხ არმან ანდრეასიანს გაეჯიბრა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხა და ევროპის ჩემპიონი პირველად გახდა.



57 კგ წონით კატეგორიაში ბექა ბუჯიაშვილი მეოთხედფინალში რუმინელ რაზვან კოვაჩს დაუპირისპირდა და 10:0 აჯობა, ხოლო ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ალიაბას რზაზადესთან ასევე 0:10 წააგო და ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა, სადაც ბულგარელ მიკაი ნაიმთან 11:0 მოიგო და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

79 კგ წონით კატეგორიაში ნახევარფინალამდე მივიდა ვლადიმერ გამყრელიძე, რომელმაც უნგრელი ჩაბა ვიდა (9:8) და რუმინელი იაკუბ შიხჯამალოვი 7:5 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში აზერბაიჯანელ აშრაფ აშიროვთან 7:13 წააგო და ბრინჯაოსთვის მოუწია ხალიჩაზე გასვლა. მან მედლისთვის ბრძოლაში სომეხი არმან ავაღიანი 9:7 დაამარცხა და ბრინჯაოს დაეუფლა.

97 კგ წონით კატეგორიაში ასეთივე შანსი ჰქონდა **ელიზბარ ოდიკაძეს,** რომელმაც პირველივე შეხვედრა წააგო აზერბაიჯანელ მაგომედხან მაგომედოვთან (7:14), მაგრამ მისი მეტოქე ფინალში გავიდა და ელიზბარი რეპეშაჟში გადავიდა. პირველ წრეში მან ლიეტუველ ლუკას კრასაუსკასს 10:0 მოუგო, მაგრამ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში პოლონელ ზბიგნევ ბარანოვსკისთან 2:4 წააგო და უმედლოდ დარჩა.

◎ ტატამზე

ფარაონების ქვეყანაში

ეგვიპტეში გამართული 2022 წლის გრან პრის გათამაშება საქართველოს პარაძიუდოს ნაკრებმა 4 მედლით დაასრულა. ტურნირის გამარჯვებული გიორგი გამეზაშვილი გახდა, რომელიც 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა და ფინალში თანამემამულე ბაჩუკი შელია დაამარცხა. შესაბამისად, შელია ვერცხლის მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ გამჯაშვილმა ნახევარფინალში რევანში აიღო ესპანელ პარასპორტსმენთან, რომელთანაც ტოკიოს პარალიმპიადაზე დამარცხდა. მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა **ნუკრი მილრიჯანაშვილი.** მან 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში იასპარეზა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. **გიორგი ბერიძემ** კი 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში წრიული სისტემით იასპარეზა. ქართველმა ეგვიპტელ მოწინააღმდეგეს სძლია, მაგრამ ფრანგ და ბრიტანელ პარაძიუდოისტებთან ორივე ბრძოლა დათმო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

◎ ოვალური ბურთი

ალაფას წინ

„შევარდენის“ სანაკრებო ბაზამ 7-ქალა რაგბის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, რომელშიც ოთხი ქართული და ერთი ბერძნული გუნდი მონაწილეობდა.

საქართველოს 7-ქალა ნაკრებს ივნისში რაგბი ევროპის „ალაფა“ უწევს, რომელიც ორ ეტაპად ტარდება და მისთვის მზადების კუთხით ეს ტურნირი პირველი მოსამზადებელი ეტაპი იყო. ტურნირში თბილისის „ლოკომოტივმა“, ზუგდიდისა და ქუთაისის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა, ასევე საქართველოს ნაკრების საბაზისო გუნდმა, რომელიც უკლუბოდ მყოფი გოგონებით დაკომპლექტდა. 2017 წლის შემდეგ პირველად, საქართველოში ჩამოვიდა და ითამაშა საბერძნეთის 7-ქალას საბაზო გუნდმა სალონიკის „ირაკლისმა“.

პანდემიით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ ეს იყო პირველი ქალთა ტურნირი, რომელიც საქართველოში გაიმართა.

ია ხურცილავა (საქართველოს 7-ქალას მენეჯერი): **„პანდემიიდან გამომდინარე ორი წელი პრაქტიკულად უმოქმედოდ ვიყავით და ძალიან კარგია, საერთაშორისო ტურნირს რომ ვმასპინძლობთ. ეს არის სპორტული ტურიზმის ერთგვარი მაგალითი. ბერძნები საქართველოში ტურისტულად ჩამოვიდნენ და ამავდროულად, რაგბის თამაშითაც იხალისეს. ვგეგმავთ, რომ მსგავსი ფესტივალები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩავატაროთ, მაისიდან კი უშუალოდ ევროპის ჩემპიონატისთვის დავიწყებთ მზადებას. გვექნება საერთაშორისო ტურნირებიც, რათა ოფიციალური თამაშებისთვის უკეთ მოვემზადოთ“.**

გიორგი მაისურაძე (საქართველოს 7-ქალას მწვრთნელი): **„წელს პირველი ტურნირია და საინტერესოა ვნახოთ, როგორ კონდიციებში არიან მოთამაშეები. სტუმრები გვყავს საბერძნეთიდან და ერთმანეთთან ძალებს მოვსინჯავთ. ივნისში ევროპის ჩემპიონატი გველის და მისთვის მზადება ამ ტურნირით იწყება“.**

სალომე მაკასარაშვილი (საქართველოს 7-ქალას მოთამაშე): **„სასიამოვნოა, რომ ეს ტურნირი საქართველოში ტარდება. საკუთარი მეგობრების და გულშემატკივრების წინაშე თამაშით განებივრებულები არ ვართ. სტუმრად ჩვენი მეგობრები, ბერძნები ჩამოვიდნენ, ასევე ვეთამაშეთ თბილისის „ლოკომოტივს“, ქუთაისისა და ზუგდიდის გუნდებს. საქართველოში ქალთა რაგბისა და ჩვენი განვითარებისთვის მსგავსი აქტივობები ძალიან კარგია“.**

თამარ მანაგაძე (საქართველოს 7-ქალას მოთამაშე): **„ეს თამაშები სასარგებლოა როგორც საქართველოს ნაკრებისთვის, ასევე ქართული კლუბებისთვის. ჩვენი მიზანია, რომ ევროპის ჩემპიონატზე თავი კარგად წარმოვაჩინოთ და ამისათვის თითოეული გოგონა სრულად იხარჯება. იმედია მსგავსი ტურნირები კიდევ ჩატარდება“.**

გიორგი ადეიშვილი (საბერძნეთის „ირაკლისის“ მთავარი მწვრთნელი): **„ჩვენთვის საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი გამოვიდა და კმაყოფილები ვართ. პანდემიის გამო ორი წელია არ გვითამაშია და გაგვიჭირდა, თუმცა გოგონებმა თამაშით ისიამოვნეს. საქართველოსთან ურთიერთობა 2017 წელს დავიწყეთ, როდესაც საერთაშორისო ტურნირი ქუთაისში ჩატარდა. კმაყოფილები ვართ ორგანიზებით და მასპინძლობით. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს 7-ქალა ნაკრები, ან რომელიმე კლუბი, საბერძნეთში საპასუხო ვიზიტით გვეწვევა“.**

თბილისის საერთაშორისო ფესტივალი 7-ქალა რაგბიში

საქართველო — ზუგდიდი 22:10; ლოკომოტივი — საბერძნეთი 25:15; საქართველო — ქუთაისი 31:7; ზუგდიდი — საბერძნეთი 25:10; ქუთაისი — ლოკომოტივი 35:0; საქართველო — საბერძნეთი 36:0; საქართველო — ლოკომოტივი 20:0; ქუთაისი — საბერძნეთი 5:17.

◎ ფეხბურთი

კაპიტნის აზრით

საქართველოს ნაკრების ახალმა კაპიტანმა გურამ კაშიამ ალბანეთთან მატჩის (0:0) შემდეგ კომენტარი გააკეთა.

როგორც გამოცდილმა ფეხბურთელმა აღნიშნა, დაცვაში ორგანიზებული თამაში კარგია, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში მოსაგებად მომენტების შექმნაა აუცილებელი და გუნდმა ამ კუთხით მეტი უნდა იმუშაოს.

„დაცვით ფაზაში ორგანიზებულები ვართ და ძალიან ცოტა მომენტს გვიქმნიან. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ უფრო მეტი მომენტი უნდა შევქმნათ და უფრო გამბედავად უნდა ვთამაშობდეთ. თუ მომენტი ვერ შექმენი, თამაშს ვერ მოიგებ, ამიტომ ცოტა მეტი გვმართებს. გვაკლდა წამყვანი ფეხბურთელები და იმედი მაქვს, რომ ჯანმრთელად იქნებიან ოფიციალური თამაშებისთვის, ძალას შეგვმატებენ და უფრო მეტ კრეატიულობას შემოიტანენ ჩვენს თამაშში. დადებითად შევაფასებ ამ კვირას. ბოსნიასთან გამარჯვების შემდეგ დღეს ძალიან მძიმე თამაში გვქონდა. ალბანეთი კარგი გუნდია, გასვლაზე ვითამაშეთ და მხოლოდ რამდენიმე დღე გვქონდა ძალების აღსადგენად.

მსურს, ერთა ლიგის დაწყებამდე ყველა ჯანმრთელად იყოს, რადგან წამყვანი მოთამაშეების გარეშე ძალიან გაგვიჭირდება. 10 დღეში ოთხი თამაში გვაქვს, რაც ძალიან რთულია ყველა ფეხბურთელისთვის. ამიტომ ყველა მოთამაშე გვჭირდება და, რაც მთავარია, კარგი სტარტი და ერთა ლიგის გამარჯვებით დაწყება“, — ციტირებს სფფ-ის ვებგვერდი კაშიას სიტყვებს.

საქართველოს ნაკრებს 5 მატჩია არ წაუგია (4 მოგება, 1 ფრე), ხოლო ბოლოს გოლი ოქტომბერში, კოსოვოსთან პირველი ტაიმის ბოლოს გაუშვა და მას მერე 4 თამაში და 1 ტაიმია კარს მშრალად ინახავს (405 წუთი).

საქართველო მომდევნო მატჩს 2 ივნისს გიბრალტარის ნაკრებთან ჩაატარებს და სწორედ ამ თამაშით დაიწყებს ერთა ლიგის ახალ სეზონს. ზოგადად, ვილი სანიოლის გუნდს ივნისში ოთხი თამაში ელოდება და გიბრალტარის გარდა, ბულგარეთს ორჯერ (5 და 12 ივნისს), ერთხელაც ჩრდილოეთ მაკედონიას შეხვდება (9 ივნისი).

◎ ლეგიონერები

ორმაგ დუბლთან

ესპანეთის ლიგა ენდესაში მე-18 ტურის გადადებული შეხვედრა გაიმართა, რომელშიც გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ ბექა ბურჯანაძის „ბეტისს“ უმასპინძლა და უმძიმეს ბრძოლაში 99:97 დაამარცხა. თამაშის ძირითადი დრო 84:84 დასრულდა და გამარჯვებული ოვერტაიმში გაირკვა.

ორივე ქართველ კალათბურთელს დიდებული შეხვედრა ჰქონდა, შერმადინი კი MVP გახდა. გიორგიმ 32 წუთში 20 ქულა, 9 მოხსნა (4 შეტევაში), 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 6 ორქულიანი და 9-დან 8 საჯარიმო ჩააგდო, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი იყო (32) და როგორც ვთქვით, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

ბურჯანაძემ 31 წუთში 18 ქულა, და 4 მოხსნა (3 შეტევაში) დააგროვა. მან 5-დან 2 ორქულიანი, 7-დან 3 სამქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 19 გამოდგა.

„ლენოვო ტენერიფე“ ლიგა ენდესაში 15 მოგებით და 9 წაგებით მეექვსე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი დღეს „ვალენსიას“ სტუმრად დაუპირისპირდება. „ბეტისი“ 6 გამარჯვებით და 19 მარცხით ბოლო, მე-18 ადგილზეა და მომდევნო მატჩს ხვალ „მურსიასთან“ გამართავს.

* * *

ევროთასის მორიგ ტურში თორნიკე შენგელიას „ვირტუს ბოლონიამ“ ესპანურ „გრან კანარიას“ უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში 70:68 დაამარცხა, რის შედეგადაც პლეი-ოფის საგზური მოიპოვა.

შენგელიამ 28 წუთში 11 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა კალათბურთელმა 4-დან 2 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ბოლონიელთა რიგებში ის შედეგიანობით მხოლოდ დანიელ ჰაკეტს ჩამორჩა, რომელმაც 14 ქულა დააგროვა.

„ვირტუს ბოლონია“ B ჯგუფში 10 მოგებით და 7 წაგებით მესამე ადგილზეა. მან პლეი-ოფში თამაშის უფლება უკვე გაინაღდა, ხოლო მომდევნო ტურში 5 აპრილს სტუმრად „ბურჟს“ დაუპირისპირდება.

◎ ხალიჩაზეც, ტატამზეც...

„ვერცხლის“ წერტილი და... „ოქროები“

ეძვსი მედალი – 1 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 4 „ბრინჯაო“ და გუნდური მეორე ადგილი აზერბაიჯანელთა შემდეგ – ასეთი ღირსეული მონაგრით დაბრუნდნენ სამშობლოში გიორგი იანტბელიძის გაწვრთნილი საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრები ბუდაპეშტში გამართული ევროპის ჩემპიონატიდან. „ჯვაროსანთაგან“ უჯილდოოდ მხოლოდ თეიმურაზ ვანიშვილი (61), ბექა ლომთაძე (65), ტარზან მაისურაძე (86) და ელიზბარ ოდიკაძე (97) დარჩნენ.

უნგრული ფორუმის პირველი დღის ნადავლის შესახებ უკვე ინფორმირებულნი ბრძანდებით, ამიტომ თქვენს ყურადღებას დასკვნით აკორდზე შევაჩერებთ.

პარტნიორებს შესანიშნავად აუბეს მხარი ასეთი მაღალი რანგის ტურნირის დებიუტანტებმა – ქუთაისელმა **გიორგი სულავამ** (74) და ონელმა **მირიან მაისურაძემ** (92), რომლებმაც ელიტაში საბრძოლო ნათლობა საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე აბიჯებით აღნიშნეს. თუ გავითვალისწინებთ ფორუმის სტარტზე **ვლადიმერ გამყრელიძის** მიერ მოხვეჭილ „ბრინჯაოსაც“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელოვან ფალავანთა მხარეში – რაჭაში ჩვენთვის სპორტის საკულტო სახეობას მეორე სუნთქვა გაეხსნა.

რაც შეეხება წარმოშობით მაღალმთიანი რეგიონის კიდევ ერთ მკვიდრს – **გენო პეტრიაშვილს,** მან ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ფინალური ბრძოლა ძველ მრისხანე მეტოქესთან – თურქ ტაჰა აკგულთან 2:5 დათმო (125), რომელსაც, როგორც წესი, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ამარცხებს. სხვათა შორის, ეს ხალიჩის ბოსფორის-პირელი დიდოსტატის მიერ მოპოვებული მერვე(!) მსგავსი ტიტულია. აღარაფერს ვამბობთ ოლიმპიადასა და მუნდიალებზე დამსახურებულ „ოქროებზე“. სხვათა შორის, ისინი არც გენოს კოლექციას აკლია. გამონაკლისს ოლიმპიური წოდება წარმოადგენს.

თანამემამულეებს საარაკოდ აუბეს მხარი ქართველმა „კლასიკოსებმა“. **სოსო ჯაბიძის** შეგირდთაგან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა **ლერი აბულაძე** (63), მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონმა **ნუგზარ წურწუმიამ** (55), „ბრინჯაოს“ დაეუფლა **რობერტ კობლიაშვილი** (87), ხოლო **შმაგი** (72) და **გელა** (82) **ბოლქვაძეები** ფინალში გავიდნენ.

ამ დღეებში თურქეთში წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ძიუდოისტებმაც. „ანტალიის გრანდ სლემი“. **„ოქრო“** – „გიორგი ტერაშვილი (73); **„ვერცხლი“** – ლუხუმ ჩხვიმიანი (60).

◎ მოვლენის წინ

ბურთით და უბურთოდ

ყატარი – 2022-ის ფინალური ტურნირის წილისყრას დოჰაშივე გამართული ფიფა-ს 72-ე კონგრესი უძღოდა წინ, რომლის დღის წესრიგის საკვანძო პუნქტსაც მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოდან უკრაინაში შეჭრილი რუსეთის მოკვეთა წარმოადგენდა, მაგრამ...

როგორც ბევრი ვარაუდობდა, **ჯანი ინფანტინომ** კიდევ ერთხელ გაუგორა კოჭი თავის ძველ სარფიან მეგობარს ვლადიმერ პუტინს და აღნიშნული საკითხის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს მაშინ, როცა სანქციები გაუხანგრძლივა პაკისტანსა და კენიას, სადაც ეროვნულ ფედერაციათა საქმიანობაში სახელმწიფო ჩაერია. მოკლედ, ორმაგი სტანდარტი სახეზეა, თუმცა...

აგრესორისადმი მსგავსი შემწყნარებლობა რომ მოსალოდნელი იყო, სხდომათა დარბაზისკენ მიმავალი უეფას პრეზიდენტი**ს ალექსანდრ ჩეფერინის** პასუხიდანაც მიხვდებოდა მიმხვედრი, რომელმაც ჟურნალისტის კითხვაზე ჩრდილოელთა შესაძლო დასჯის თაობაზე საკუთარი პოზიციის ღიად გამოხატვას თავი აარიდა და კალმოსანი ფიფა-ს თავკაცი კოლეგისკენ გადაამისამართა.

სხვათა შორის, დასახელებულ მხარეთა არცთუ უანგარო ახლო ურთიერთობის გათვალისწინებით ისიც კი გასაკვირია, რომ რუსეთის ნაკრები უკვე შერისხულია და დამდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ითამაშებს, აგრეთვე უეფამ რომ გაწყვიტა ერთობ მსუყე კონტრაქტი თავის სატიტულო სპონსორ „გაზპრომთან“ და სანკტ პეტერბურგს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის მასპინძლობის უფლება ჩამოართვა. აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ კონგრესს რუსეთის დელეგაციაც ესწრებოდა(?).

არანაკლებ სენსაციურად გამოიყურებოდა „სქაი სპორტის“ მიერ დელეგატთა შეკრებამდე გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც თურმე ირანს დამდეგ მუნდიალზე იტალია შეცვლიდა.

დიახ, რადგან ისლამურ რესპუბლიკაში თანამემამულეთა დასკვნით შესარჩევ შეხვედრაზე დასასწრებად სტადიონზე ბილეთის მქონე ორი ათასი ქალბატონი არ შეუშვეს და ეს აღნიშნულ ქვეყანაში 2019 წლის შემდეგ მეორე მსგავსი შემთხვევა გახლდათ, ფიფას თავის მიერ სამი წლის წინათ უკვე გაფრთხილებული ურჩი აზიელების მიმართ მკაცრი ზომების მიღება მართებდა და მათი ადგილი საუკეთესო რეიტინგის მქონე „სკუადრა აძურასთვის“ უნდა დაეთმო. ნეტარ არიან მორწმუნენი!

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, იმთავითვე ნათელი იყო, რომ განთესვისას მეორე კალათაში (ვაჰ დრონი, დრონი) გამწესებული გერმანია ან ნიდერლანდები, ანაც ორივენი, ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფ(ებ)ში მოხვდებოდნენ. ისე აგიხდეთ ყველაფერი, ოღონდ – ნაწილობრივ.

და კიდევ: უკანასკნელ მომენტში ფიფას რეიტინგში ბელგიის ნაცვლად ბრაზილია დაწინაურდა.

ახლა კი დოჰას საგამოფენო ცენტრში დატრიალებული „რულეტკის“ შედეგები, რომელიც პირველია ახლო აღმოსავლეთში და ასევე პირველად გაიმართება შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე (ცნობისათვის: ასეთ პატივს არაბული სამყარო თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ელოდებოდა).

„ა“ ჯგუფი. ყატარი, ეკვადორი, სენეგალი, ნიდერლანდები; **„ბ“ ჯგუფი.** ინგლისი, ირანი, აშშ, პლეი-ოფის რჩეული; **„გ“ ჯგუფი.** არგენტინა, საუდის არაბეთი, მექსიკა, პოლონეთი; **„დ“ ჯგუფი.** საფრანგეთი, პლეი-ოფის რჩეული, დანია, ტუნისი; **„ე“ ჯგუფი.** ესპანეთი, პლეი-ოფის რჩეული, გერმანია, იაპონია; **„ვ“ ჯგუფი.** ბელგია, კანადა, მაროკო, ხორვატეთი; **„ზ“ ჯგუფი.** ბრაზილია, სერბეთი, შვეიცარია, კამერუნი; **„თ“ ჯგუფი.** პორტუგალია, განა, ურუგვაი, კორეა.

ასე რომ, ერთთვიან წინასაახალწლო საფეხბურთო ზეიმს 21 ნოემბერს ყატარისა და ეკვადორის მატჩი გახსნის, ხოლო ფინალი 18 დეკემბერსაა დანიშნული.

50 წლის წინათ მთვარიდან ჩამოტანილ ნიმუშებს სწავლობენ

აპოლოს მთვარის მისიებმა დედამიწაზე ჯამში ქანების 2196 ნიმუში ჩამოიტანა. 50 წლის წინ შეგროვებული ნიმუშების ბოლო ეგზემპლარების გახსნა NASA-მ მხოლოდ ახლაღა დაიწყო.

მთელი ამ დროის განმავლობაში, მილები, რომლებშიც ნიმუშები ინახება, ისე იყო დალუქული, რომ მათი შესწავლა წლების შემდეგ, უახლესი ტექნოლოგიებით ყოფილიყო შესაძლებელი.

„NASA-მ იცოდა, რომ მეცნიერება და ტექნოლოგიები განვითარდებოდა და მომავალში მეცნიერები ამ ნიმუშების შესწავლას ახალი მეთოდებით შეძლებდნენ, პასუხს გასცემდნენ ახალ კითხვებს“, – ამბობს NASA-ს პლანეტური მეცნიერების განყოფილების დირექტორი ლორი გლეიზი.

ნიმუში, სახელად 73001, ასტრონავტებმა – იუჯინ კერნანმა და ჰარისონ შმიტმა 1972 წლის დეკემბერში შეაგროვეს, აპოლოს პროგრამის ბოლო მისიის, აპოლო 17-ის ფარგლებში. 35 სმ სიგრძის და 4 სმ სიგანის მილით ქანების ნიმუშები მთვარის ტაურუს-ლიტროუს ველზე აიღეს.

მთვარეზე ვაკუუმურად მხოლოდ ორი ნიმუში დალუქეს და ეს პირველია, რომელსაც ახლა გახსნიან. შეიძლება შეიცავდეს აირებს ან აქროლად ნივთიერებებს (წყალი, ნახშირორჟანგი და ა. შ.).

მთავარი მიზანი სწორედ ამ აირების გამოყოფაა, რომლებიც სავარაუდოდ, ნიმუშში ძალიან მცირე ოდენობით არის წარმოდგენილი, რათა სპექტრომეტრიული მეთოდით შეისწავლონ. ბოლო წლებში, ეს ტექნოლოგია დიდად დაიხვეწა.

გარე დამცავი მილს თებერვლის დასაწყისში მოხსნეს. იქ მთვარის რაიმე აირი არ აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ მასში არსებული ნიმუშები საიმედოდ იყო დალუქული.

ერთი თვის წინ მეცნიერებმა რამდენიმეკვირიანი პროცესი დაიწყეს, რომელშიც მთავარ მილს გახვრეტენ და მასში არსებულ აირებს შეაგროვებენ.

გაზაფხულზე, ქანების ნიმუშს ფრთხილად გამოიღებენ და დაამსხვრევენ, რათა ის სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფებმა შეისწავლონ.

ამ ეტაპზე, კიდევ დალუქული რჩება მთვარის ქანების სამი ნიმუში. მკვლევართა განცხადებით, ისინი დაახლოებით 50 წლის შემდეგ გაიხსნება. ამასობაში კი, მთვარის შემდეგი მისია გვიახლოვდება – „არტემისი“. მთვარეზე ადამიანების კვლავ გაგზავნას NASA 2025 წელს გეგმავს. ამ მისიის ფარგლებში შესაძლებელი იქნება დიდი ოდენობით აირის ნიმუშების შეგროვება. ამჟამინდელი ექსპერიმენტი კი კარგი მოსამზადებელი სამუშაოა.

ქვის ხანის სკანდინავიელი ქალბატონი

ძვის ხანის ქალი, რომელიც 4000 წლის წინ ცხოვრობდა, ჯოხს ეყრდნობა და წინ იყურება, საითაც ახალგაზრდა, მკვირცხლი ბიჭი გარბის – ასეთია საოცარი, რეალური ზომების რეკონსტრუქცია, რომელიც შვედეთში გამოფინეს.

ვესტერნორლანდის მუზეუმში გამოფენილი რეკონსტრუქცია შექმნეს ჩონჩხის საფუძველზე, რომელიც 1923 წელს სოფელ ლაგმანსერენთან, გზის მშენებლობისას აღმოაჩინეს; მის გვერდით იპოვეს დაახლოებით შვიდი წლის ბიჭის ჩონჩხიც. **„შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი დედა-შვილი იყვნენ. არ არის გამორიცხული, და-ძმაც ყოფილიყვნენ. არ ვიცით, რადგან დნმ სათანადოდ არ არის შემონახული, რომ ანალიზები ჩავუტაროთ და მათი კავშირი დავადგინოთ“,** – ამბობს შვედი სასამართლო ექსპერტი ოსკარ ნილსონი, რომელმაც 350 საათში შექმნა ცოცხალს მიმსგავსებული მოდელი. მოდელის შექმნისას ნილსონი მიჰყვებოდა იმ აზრს, რომ ქალი შვილთან ერთად იყო, რომელიც მის წინ დარბოდა.

„ის დედის თვალებით იყურება, გამოსჭვივის სიყვარული და დისციპლინა, ნაზი, მაგრამ მკაცრი მზერა ისეთია, თითქის ის ბიჭს სიფრთხილისკენ მოუწოდებს“, – ამბობს ნილსონი.

ნეოლითის პერიოდის ქალი და პატარა ბიჭუნა ქვის სამარხში იყვნენ დაკრძალული. ქალი დაახლოებით 30 წლის ასაკშია დაღუპული, სიმაღლეში 150 სანტიმეტრამდე უნდა ყოფილიყო. ნილსონის განცხადებით, ქალის ჩონჩხს არ აღენიშნება არასათანადო კვების, დაზიანების ან რაიმე დაავადების ნიშნები, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ის რაღაც ისეთი დაავადებით მოკვდა, რომელმაც ჩონჩხზე ნიშნები არ დატოვა. კბილებში არსებული იზოტოპების კვლევით დგინდება, რომ ჭამდა ხმელეთზე მოწეულ საკვებს, რაც უცნაურია, რადგან მისი საფლავი სანაპიროსთან ახლოს არსებულ, თევზით სავსე მდინარის სიახლოვეს აღმოაჩინეს.

შესახედაობის შესახებ ნილსონმა დასაბუთებული ვარაუდი გაითვალისწინა. უძველეს სკანდინავიაში მიგრაციის სამი დიდი ტალღა იყო: პირველად 12 000 – 10 000 წლის წინ, მონადირე-შემგროვებლების, რომლებსაც მუქი კანი და ცისფერი თვალები ჰქონდათ; მეორე ტალღა – ამ ქალის პერიოდში, 5000-4000 წლის წინ სამხრეთიდან მოსული მკრთალკანიანი, მუქთმიანი და ყავისფერთვალებიანი ფერმერების, და მესამე ტალღა დაახლოებით 3500 წლის წინ მოიცავდა იამანაიას კულტურას თანამედროვე უკრაინის ტერიტორიიდან, რომლებსაც ფერმერებზე ოდნავ მუქი კანი ჰქონდათ და თან მოიტანეს ლითონების წარმოების მეთოდი, რის გამოც, ის ამ რეგიონში პირველი ბრინჯაოს ხანის კულტურაა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ნილსონმა ქალს ყავისფერი თმა და თვალები მისცა, კანი კი ფერმერების მსგავსი ღია. სავარაუდოდ, ის ნაწილობრივ მისდევდა ყველაფერს – როგორც მონადირე-შემგროვებლობას, ისე სოფლის მეურნეობას. რეკონსტრუქციაში ქალს თმები ბეწვისა და ტყავის თოკით აქვს შეკრული. ეს სამუშაო დამოუკიდებელმა არქეოლოგმა ელენა გაერუმმა შეასრულა, რომელიც ტყავის დამუშავებისთვის ქვის ხანის მეთოდს იყენებს. მოდელის შემოსვამდე, გაერუმმა შეისწავლა ნეოლითურ სოფელ ლაგმანსერენის ანტიკური კლიმატი, ლანდშაფტი, მცენარეულობა და ცხოველები. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მან ქალის ტანსაცმელი ირმისა და ცხენ-ირმის ტყავისგან შექმნა, ფეხსაცმელები კი ჩრდილოეთის ირმის, თახვისა და მელიის ტყავისგან. ხშრად ვფიქრობთ, რომ ქვის ხანის ადამიანები პრიმიტიულები იყვნენ, მაგრამ გაერუმმა ამ წარმოდგენის შეცვლა სცადა.

„ვფიქრობ სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ მას პრიმიტიული ტანსაცმელი ეცვა. მსურდა, ის უფრო თანამედროვედ შემემოსა, რადგან ჩვენც და ისიც ჰომო-საპიენსები ვართ“, – ამბობს მკვლევარი.

მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილმა
Agence France-Presse -ის და Live Science-ის მიხედვით.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲪ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ?!

ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘ გამუდმებით ძვირდება და ეს პროცესი ძალიან დიდ გავლენას ახდენს როგორც ბიზნესგარემოსა და ეკონომიკაზე, ასევე ინფლაციაზე. ბრენდირებულ ავტოგასამართ სადგურებზე 1 ლიტრი ბენზინისა და დიზელის ღირებულებამ 4 ლარს მიაღწია. მთავრობა რაღაც ნაბიჯების გადადგმას გეგმავს, მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელს, თუ როგორ აპირებს არანორმალურად გაზრდილი ფასის შემცირებას. გარკვეული ინფორმაცია უკვე გააჩნიათ იმპორტიორებს.

ასეთ ფონზე მოქალაქეებმა ორიოდე დღის წინ რესპუბლიკის მოედანზე, საწვავის გაიაფების მოთხოვნით აქცია გამართეს. მათი ორი მთავარი მოთხოვნა საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმება და დღგ-ს გადასახადის მცურავ რეჟიმზე გადაყვანა იყო, რაც აქციის მონაწილეების განცხადებით, 80-90 თეთრით გააიაფებს საწვავის ფასს.

თუმცა მთავრობას სრულიად საპირისპირო მოსაზრება აქვს. ეკონომიკის მინისტრი **ლევან დავითაშვილი** ფიქრობს, რომ გარკვეული დროის შემდეგ ქვეყანაში საწვავის ფასები ისედაც შემცირდება. ეკონომიკური გუნდი მუშაობს და აქ შეიძლება უფრო უპრიანი სხვა ტიპის გადაწყვეტილებები იყოს.

„რეალურად დღეს საცალო ქსელში იყიდება საწვავი, რომელიც ღირებულების პიკშია შეძენილი. ჩვენ უშუალო ურთიერთობა გვაქვს იმპორტიორებთან და არის მოლოდინი, რომ ბაზარზე შეიძლება უფრო ნაკლებ ფასში შეძენილი საწვავი გამოჩნდეს. გარკვეულწილად ის პიკური ფასები გადაივლის და რაღაც დროის შემდეგ უფრო ნაკლები ფასები შეიძლება გვქონდეს. საწვავთან მიმართებით გაიაფებას ველოდებით“, — განაცხადა დავითაშვილმა.

საწვავის გაძვირების საწინააღმდეგო აქციაზე გაჟღერებულ მოთხოვნებს გამოეხმაურა ფინანსთა მინისტრიც, რომელიც საწვავზე აქციზის გადასახადის გაუქმებას და დღგ-ს გადასახადის მცურავ რეჟიმზე გადაყვანას ითვალისწინებს.

„მინდა მოსახლეობას განვუმარტო, თუ რა შინაარსის მოთხოვნებია, საწვავის ფასებთან დაკავშირებით, კონკრეტულად დღგ-სთან მიმართებით. ესაა საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 8-დან 9%-მდე, ამიტომ ამხელა ტიპის შემოსავლების დაკლებაზე საუბარი, როდესაც მიმდინარე წელი დაგეგმილია და დაგეგმილია იმ სოციალური ვალდებულებებით, რაც ქვეყანას აქვს აღებული მოსახლეობის წინაშე, შეუძლებელია ამაზე ამ ეტაპზე“, — აღნიშნა მინისტრმა.

საბოლოოდ კი საკიხს მთავრობის სხდომაზე შეეხო **ირაკლი ღარიბაშვილიც**, რომელმაც საწვავის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა შედარებით ფართოდ მიმოიხილა საერთაშორისო ტენდენციის გათვალისწინებით.

„საწვავის ფასების მიხედვით, 21 მარტის მონაცემებით, მსოფლიოს 170 ქვეყანას შორის ერთი ლიტრი ბენზინის სიიაფით 71-ე იყო საქართველო. 99 ქვეყანაში უფრო ძვირია საწვავი, ვიდრე საქართველოში. რაც შეეხება გაზის ფასებს — გაზის ფასები არის მკვეთრად გაზრდილი ევროპაში, 2-3 კვირის წინ 3 900 დოლარს მიაღწია 1000 კუბური მეტრის ბუნებრივი გაზის ფასმა და თუ გახსენდებათ რამდენს ვიხდით ჩვენ ბუნებრივ აირში? ეს არის სოციალური გაზი და ეს არის კომერციული გაზი, ვინაიდან ეს კომერციული საიდუმლოებაა კონკრეტულად ვერ ვიტყვით, მაგრამ ის კონტრაქტები, რაც მთავრობას აქვს გაფორმებული აზერბაიჯანთან, არის ძალიან მიზერული.

ევროპაში, აზერბაიჯანის შემდეგ მეორე თუ მესამე ადგილას ვართ გაზის ფასების მიხედვით. ყველაზე იაფი ღირს მთელ ევროპაში გაზი საქართველოში, აზერბაიჯანის შემდეგ. ამიტომ, გთხოვთ ყველას, რომ ამ სიტუაციაში, ასეთ კრიზისულ ვითარებაში, მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ და ნუ შევიყვანთ მოქალაქეებს შეცდომაში. ევროპაში 3 900 დოლარი ღირდა 3 კვირის წინ 1000 კუბური მეტრი გაზი, ჩვენთან ეს დაახლოებით 120 დოლარია 1 000 კუბურ მეტრზე, რასაც მოქალაქეები იხდიან. ძალიან დიდი სხვაობაა, კომუნალური გადასახადები არის გაათმაგებული მთელ ევროპაში და არის ძალიან რთული ვითარება, მინდა, ეს ყველამ კარგად გავაცნობიეროთ, განსაკუთრებით პოლიტიკოსებმა, რომლებიც გამოდიან და ტყუილებს ეუბნებიან ჩვენს მოქალაქეებს“, — აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის წევრთა შეფასებები, ერთი მხრივ გასაგებია, მაგრამ რეალურად რას აპირებენ ისინი ფასის შესამცირებლად? ამ საკითხზე სხვაზე მეტი ინფორმაცია აღმოაჩნდა „სენტა პეტროლიუმის“ დამფუძნებელს **ზაალ იაკობიძეს**, რომელმაც დაადასტურა, რომ საქართველომ შესაძლოა, კონკრეტული ქვეყნებიდან საწვავი გაცილებით იაფად მიიღოს, ვიდრე საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ფასია. მოლაპარაკება რამდენიმე ქვეყანასთან მიმდინარეობს და თუ შეთანხმება შედგა, ერთ ლიტრ საწვავზე სხვაობა შესაძლოა, 50-60 თეთრი იყოს.

„საქართველოს მთავრობა ცდილობს და უკვე დაწყებული აქვს მოლაპარაკება სხვადასხვა ქვეყნებთან. მიდის საუბარი, რომ შესასყიდი ფასი საქართველოსთვის იყოს იაფი, ვიდრე საერთაშორისო ბაზრის ფასებია. მაგალითად, „პლატცის“ მიხედვით თუ 1 ტონა ბენზინის ფასი 1100 დოლარია, შეიძლება მინიმუმ იგი 300 დოლარით შემცირდეს (სპეციალურად საქართველოსთვის). ადვილად აღსაქმელი რომ იყოს, ეს გამოიწვევს დაახლოებით 50-60-თეთრიან სხვაობას (ერთ ლიტრზე)“, — განუცხადა „საქმის კურსს“ იაკობიძემ.

ბიზნესმენი არ აკონკრეტებს რომელ ქვეყნებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, თუმცა ამბობს, რომ მისი ინფორმაციით, პროცესი ძალიან აქტიურია.

„როგორც ვიცი, ძალიან სწრაფად და ოპერატიულად უნდა გადაწყდეს საკითხი. ეს არის ყველაზე ქმედითი, რაც შეიძლება მოხერხდეს ამ ვითარებაში, რადგან მთავრობა და მოსახლეობა ვერ შეცვლის ფასს, რაც არსებობს საერთაშორისო ბაზარზე“, — დასძინა ზაალ იაკობიძემ.

კითხვაზე, არის თუ არა ეს ის „დაზღვევის მექანიზმი“, რასაც საქართველოს მთავრობა მოსახლეობას ჰპირდება, ბიზნესმენი ამბობს, რომ დიდწილად, სწორედ ეს იგულისხმება.

ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ შანსი აქვს, რომ ქვეყნის სატრანზიტო დერეფანმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინოს და ეს პროცესი უკვე დაწყებულია. რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გათვალისწინებით, საქართველოზე გამავალი აბრეშუმის გზა ნამდვილ და სრულ ფუნქციას შეიძენს.

ყაზახეთის მთავრობამ უკვე გადაწყვიტა, რომ ტვირთების ტრანზიტი საქართველოს გავლით მოახდინოს. კასპიისპირა ქვეყანამ საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვის ალტერნატიული მარშრუტები შეიმუშავა, რაც მას საშუალებას მისცემს, არ დაარღვიოს რუსეთისადმი წაყენებული სანქციების მოთხოვნები.

„ჩვენ შევიმუშავეთ საექსპორტო და სატრანზიტო ტვირთების გატარების ალტერნატიული მარშრუტები და დერეფნები. სამინისტრომ ოპერატიული ზომები მიიღო იმისთვის, რომ არ დაუშვას ტვირთების მიწოდების ლოჯისტიკური ჯაჭვების რღვევა“, — განაცხადა ყაზახეთის მრეწველობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მინისტრმა **კაირბეკ უსკენბაევმა** და დასძინა, რომ საექსპორტო ტვირთები გადამისამართდა ლატვიის პორტებსა და ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტზე.

„აზერბაიჯანთან, საქართველოსა და თურქეთთან მიღწეულია შეთანხმება, რომელიც ერთობლივი საწარმოს შექმნას ითვალისწინებს. ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტზე სატვირთო გადაზიდვების განვითარების მიზნით, აკტაუს საზღვაო პორტში, თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფარგლებში, საკონტეინერო ჰაბი შეიქმნება“, — განაცხადა უსკენბაევმა.

აქამდე ყაზახეთი სარკინიგზო ტვირთებს, ძირითადად, რუსეთის რკინიგზის გავლით ეზიდებოდა, თუმცა ოკუპანტების აგრესიამ ქვეყნები ამ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. **ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲨᲐᲜᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲫᲕᲔᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲙᲔᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲡ.**

გარდა ამისა, აღსანიშნვია, რომ ავღანეთიდან ხელისუფლებაში დაბრუნებულმა „თალიბანმა“ საქონლის ექსპორტი ევროპაში პირველად დაიწყო და ისიც საქართველოს გავლით ხორციელდება.

დასავლეთ ავღანეთის პროვინცია ჰერათის სავაჭრო და საინვესტიციო პალატის ხელმძღვანელის, **იუნუს კაზიზადას** თქმით, დაახლოებით 30 სატვირთო ავტომობილისგან შემდგარმა კოლონამ დატოვა რეგიონი ლაპის ლაზულის სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ, რომელიც აკავშირებს ავღანეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. ტრანსპორტირებული საქონლის ჯამური ღირებულება, რომელიც მოიცავს ფისტას, სეზამს, ხალიჩებს, ნუშს და სხვა პროდუქციას, 5 მილიონ აშშ დოლარად არის შეფასებული.

ამ ქვეყნების გარდა, ტვირთების მოზიდვა რამდენიმე სხვა მიმართულებითაც შესაძლებელია. სწორედ ამ შესაძლებლობასა და საქართველოს მხრიდან მზადყოფნაზე საუბრობს სატრანსპორტო დარგის სპეციალისტი, „ეკო-ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი **ვასო ურუშაძე**.

„რუსეთისთვის დაწესებული სანქციები არის უდიდესი შესაძლებლობა საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალისთვის. დღეს ჩვენ გვაქვს უნიკალური შანსი, რომ დავიბრუნოთ ისტორიული ფუნქცია და აბეშუმის გზა, რომელიც არის ევრაზიის კონტინენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარტყელი. ეს არის პოტენციალი იმისა, რომ საქართველო რეალურად გახდეს სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ჰაბი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას სჭირდება ხელისუფლების მზდყოფნა და სამუშაოს წარმართვა, რათა საქართველომ უპასუხოს გლობალურ გამოწვევას.

არის ძალიან ბევრი წინააღმდეგობა და პრობლემა, რომლებმაც შესაძლოა, შეაფერხოს ეს პროცესი. პირველ რიგში, ეს არის ინფრასტრუქტურა, საქართველოს პორტები, საგადასახადო და საბანკო სისტემა და უსაფრთხოება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არის ლიმიტირებული: გამტარუნარიანობა საქართველოს პორტებში, რკინიგზის გამტარუნარიანობა, მილსადენებში ნავთობპროდუქტების გამტარუნარიანობა და, რა თქმა უნდა, ჩვენ დღეს ვერ უზრუნველვყოფთ იმ ნაკადების გატარებას, რომლებიც წამოვა ცენტრალური აზიიდან, ევროპის მიმართულებით.

საჭიროა დღესვე ფიქრი იმაზე, რომ დაჩქარებული წესით დავიწყოთ მნიშვნელოვანი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა, როგორებიცაა ანაკლიის პორტი, რკინიგზის მოდერნიზაცია და ა.შ.“, — განაცხადა ვასო ურუშაძემ.

სანთელი



მაღალი ინტელექტით გამორჩეული მათემატიკოსი

აკადემიკოსი ნოდარ ბერიკაშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი, მსოფლიო აღიარების მქონე მეცნიერი, აკადემიკოსი **ნოდარ ბერიკაშვილი**.

თვალსაჩინოა მისი ღვაწლი თანამედროვე მათემატიკის აქტუალური დარგის — ალგებრული ტოპოლოგიის განვითარების საქმეში. საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია მისი მიღწევები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რამდენიმე ახალ მიმართულებას და განვითარება ჰპოვეს მრავალი ქართველი და უცხოელი კოლეგის ნაშრომებში. დღესაც იწერება მონოგრაფიები და სტატიები მის მიერ ინიცირებულ თემატიკებში, ნოდარ ბერიკაშვილის სახელს ატარებს რამდენიმე ცნება და თეორემა, რომლებიც მოიხსენიება სამეცნიერო თუ ენციკლოპედიურ გამოცემებში. ტოპოლოგიაში არსებობს ბერიკაშვილის სახელობის ისეთი ცნებები, როგორიცაა „ბერიკაშვილის 3 ფუნქტორი“, „ბერიკაშვილის მგრეხი ელემენტები“, „ბერიკაშვილის განტოლება“, „ბერიკაშვილის მოდელი“, „ბერიკაშვილის გარდაქმნა“, „ბერიკაშვილის აქსიომები“.

ნოდარ ბერიკაშვილი დაიბადა 1929 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, აკად. გიორგი ჭოლოშვილის ხელმძღვანელობით მოამზადა დისერტაცია, რომელმაც მსოფლიო დონის ტოპოლოგის, აკადემიკოს პ.ალექსანდროვის ყურადღება მიიქცია და სრულიად ახალგაზრდა მათემატიკოსი მოსკოვში, იმდროინდელი მათემატიკის ერთ-ერთ მთავარ ცენტრში, სტეკლოვის სახ. მათემატიკის ინსტიტუტში მიიწვიეს, სადაც ბატონმა ნოდარმა 1959 წლამდე იმუშავა და იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1956 წ.).

1959 წელს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში ბატონი ნოდარი მოღვაწეობდა ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი როლი ჩვენს ქვეყანაში ტოპოლოგიის, მათემატიკის ამ აქტუალური დარგის, პოპულარიზაციასა და დანერგვაში. ქართული ალგებრულ-ტოპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები დღეს თავიანთ დარგებში საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერები არიან.

1971 წელს ბ-ნი ნოდარი იცავს სადოქტორო დისერტაციას მოსკოვში, სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

2001 წელს ნოდარ ბერიკაშვილს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად. დიდად დასაფასებელია მისი მოღვაწეობა აკადემიაში, მრავალი წლის მანძილზე იყო აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების ბიუროს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის საქმიანობაში.



ამერიკაში გამოცემულ წიგნში „თვალსაჩინო ალგებრული ტოპოლოგები“ ფუნდამენტური ჯგუფის შესახებ ერთ-ერთი ცენტრალური თეორემის ავტორებს შორის (ჩეხი, ლერე, ვეილი, კალაბი, ვუ - თითოეული მათგანი საყოველთაოდ ცნობილი კლასიკოსია) დასახელებულია ნოდარ ბერიკაშვილი. მისი ეს შედეგი ნახსენებია აგრეთვე ინგლისურენოვანი ვიკიპედიის სტატიაში ფუნდამენტური ჯგუფის შესახებ.

სამაგალითოა ნოდარ ბერიკაშვილის მიერ განვლილი ცხოვრება, როგორც მეცნიერის და როგორც პიროვნების. თავისი მაღალი ინტელექტით, დახვეწილი ინტელიგენტურობით, გამორჩეული ადამიანური თვისებებით მან კოლეგების, თანამშრომლების, მოწაფეების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

აკადემიკოსმა ნოდარ ბერიკაშვილმა ღირსეულად იცხოვრა და დაუვიწყარი სახელი დატოვა კოლეგებისა და მოწაფეების მეხსიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება;
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

უახლოესი მეგობრები ბონდო ჯიძია, იგორ ძობალია, გურამ გუნავა, ლერი ჭითანავა, გურამ ახალაია, ჯემალ კვირტია, ალვერ იზორია, ვაჟა ფიფია, თენგიზ ჯიძია, დათო იზორია, სარიდან ბერულავა, გურამ აფაძიძე, მურმან ნაჭყებია, ლერი ჯიძია, ვახტანგ ცხადაია, მამუკა ძობალია, ვახტანგ სიჭინავა, ზურაბ აბშილავა, კიაზო ჭანტურია, ოთარ ჭითანავა ღრმა გულისტკივილით იუწყებიან სამეგობროს გამორჩეული წევრის, სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნების, ძირძველი ზუგდიდელის

გონელი (ჯოჯი) იზორიას

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და სანათესაოს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი კოლხი რაინდის სული.

სოსო ცინცაძე: პუტინი აფხაზეთს ცხვირში ძმრად ამოადენს დამოუკიდებლობანას თამაშს!

(მესამე ბეჭდვიდან)

თუკი მოხდა ცხინვალის მიერთება რუსეთთან, ჩვენმა დიპლომატიამ ეს მაინც უნდა შეძლოს, რომ კონტრსაბაბი მისცეს დასავლეთს, რომ, ელემენტარულად, ევროპელებს შერცხვეთ!

კაცო, რუსეთი ანექსიას ახდენს, საქართველოს 2008 წელს ტერიტორიების 20% ჩამოაჭრა, ახლა უკვე რუსეთი თვითონ იერთებს ამ ტერიტორიას, ეს ხომ ანექსიაა, ანუ საერთაშორისო სამართლით ყველაზე დიდი დანაშაულია! ევროპელებს უნდა გაუჩნდეთ კითხვა, ყველაფერ ამის ჩამდენ რუსეთს როგორ მოვუხსნათ სანქციები?!“ — გვითხრა სოსო ცინცაძემ.

რაც შეეხება აფხაზეთს, პოლიტოლოგი ფიქრობს, რომ, მართალია, აფხაზები ახლა არ აპირებენ რუსეთთან მიერთებას, მაგრამ აფხაზები ისედაც ათქვეფილები არიან რუსეთში და მომავალშიც მაინც აითქვიფებიან. აფხაზები ერთ რამეს ვერ მიხვდნენ, რომ საქართველოსთან ცხოვრებას მათთვის ალტერნატივა არ აქვს. ამიტომაც აფხაზეთს ცხვირში ძმრად ამოუყვანს პუტინი დამოუკიდებლობანას თამაშს. მით უმეტეს, რომ რა დამოუკიდებლებიც არიან აფხაზები, ესეც ყველამ იცის.

პოლიტოლოგის აზრით, თუ რუსეთს სანქციებს შეუნარჩუნებენ, რუსეთს ფული აღარ ექნება, ოსებს დღეს ინახავს, მაგრამ 2- 3-ჯერ ძვირი დაუჯდება მათი, როგორც საკუთარი მოქალაქეების შენახვა. ეს საქართველომ უნდა გააკეთებინოს დასავლეთს და უნდა ატეხონ ხმაური, რომ რუსეთმა ცხინვალის რეგიონის ანექსია თუ მოახდინა, ეს ქიმიურ იარაღზე საშიშია. ამიტომ ის სათადარიგო სანქციები უნდა გამოიყენოს დასავლეთმა, რომელიც გადანახული აქვთ უკრაინაში რუსეთის მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების შემთხვევაში.

„რამდენჯერ უნდა გაუვიდეს რუსეთს? მადა ჭამაში მოდის. ბიბილოვი რომ ე.წ. რეფერენდუმს ატარებს, რეფერენდუმი მაშინ იქნება ლეგიტიმური, თუკი თამარაშენიდან, ქურთადან, ქართული სოფლებიდან გამორეკილი საქართველოს მოსახლეობაც მიიღებს მასში მონაწილეობას, მარტო ოსების მონაწილეობით ჩატარებული რეფერენდუმი აღარ არის რეფერენდუმი“, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ და დასძინა, რომ რუსეთმა თუ გადაწყვიტა სამაჩაბლოს მიერთება, ჩვენი დიპლომატია სულ ყირაზე რომ დადგეს, მთელი ჩვენი მთავრობა რომ რუსთაველზე გამოვიდეს გასაპროტესტებლად, მაინც არაფერი შეიცვლება და რუსეთი სამაჩაბლოს მაინც მიიერთებს. უბრალოდ, ეს მიერთება ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ისე, რომ პუტინმა დაინახოს, თუ ცხინვალის რეგიონს მივიერთებ, მაშინ ევროპა და ამერიკა სანქციებს არ მომიხსნის და ამას ვეღარ გავუძლებ.

ანალიტიკოსი **ნიკა ჩიტაძე** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ დე ფაქტო ვითარება რუსეთთან მიერთების შემთხვევაშიც არ შეიცვლება, რადგან ცხინვალის რეგიონი ისედაც ოკუპირებული და ანექსირებულია რუსეთის მიერ, იქ მოქმედებს რუსული კანონები და ცხინვალის რეგიონის ბიუჯეტის 98% ფორმირდება რუსეთიდან გადარიცხული თანხით.

„ამ ეტაპზე საქართველოს მიზანია, ლობირება გავწიოთ საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების წინაშე, რომ სანქციები რუსეთს არ მოეხსნას მანამ, სანამ უკრაინის პრობლემასთან ერთად არ იქნება გადაწყვეტილი საქართველოს და თუნდაც მოლდოვის პრობლემა, რომ მოხდეს საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის დეოკუპაცია და მოლდოვის რეგიონის დეოკუპაცია — დნესტრისპირეთის, უკრაინის დეოკუპაცია თავისთავად და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა არსებობდეს წინაპირობა იმისა, რომ დასავლეთი მოუხსნის სანქციებს რუსეთს. საქართველომ ეს ბერკეტი უნდა გამოიყენოს“, — გვითხრა ნიკა ჩიტაძემ.

მისივე შეფასებით, აფხაზეთი არ იღწვის იმისკენ, გახდეს რუსეთის შემადგენელი ნაწილი, აფხაზეთი აცხადებს, რომ მათი საბოლოო მიზანი დამოუკიდებლობის მიღწევაა. ცხინვალის რეგიონის მარიონეტული რეჟიმი კი ამბობს, რომ მათი საბოლოო მიზანია, ე.წ. ორი ოსეთის გაერთიანება და ერთიანი „ოსეთის“ შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ამიტომაცაა აფხაზეთისგან განსხვავებული ვითარება ცხინვალის რეგიონში. რაც შეეხება რუსეთის მოტივს, ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ უკრაინაში რუსეთს ხელი მოეცარა, ამიტომ ახლა სურს კუდი მოიქნიოს ცხინვალის რეგიონში, შეიერთოს ცხინვალის რეგიონი, ასევე, დაეპატრონოს დონეცკის და ლუგანსკის ოლქებს და გამოაცხადოს, რომ უკრაინის ომში გამარჯვებულია, რადგან შეიერთა ცხინვალის რეგიონი, დონეცკი და ლუგანსკი. ამით პუტინს სურს, მხარდაჭერა მოიპოვოს საკუთარ მოსახლეობაში.

მანანა ნოზაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერ-ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

ზოთა სამსონია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
გამოსვენება 5 IV, 14 საათზე, ქაშუეთის ეკლესიიდან

ყოველგვარი რეკლამა გაზეთის ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ბავშვები იხსენ, უფალო!

რა დააშავეს ნორჩებმა?!
ო, ღმერთო,
როდის მორჩება,
სისხლისღვრა,
ბილწ ომს რომ რჩება,
ტბორებად — უკან იმისა?
უმუზარადოდ, უფაროდ
არ მიატოვო, უფალო,
და კვლავ გაზარდე ეოჩებად
ბალღები უკრაინისა!,
მართვენი უკრაინისა!,
ბატრონნი უკრაინისა!..

ალექსანდრე შენგელია

პატივი მიაგეს უკრაინაში დახოცილ ბავშვებს

145 ფეხსაცმელი სოლიდარობის ნიშნად — ამ პერფორმანსით მიაგეს პატივი უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპული ბავშვების ხსოვნას.

თბილისში, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან შეკრებილებმა კიდევ ერთხელ დაგმეს რუსული აგრესია და უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადეს. აქციის ორგანიზატორები მედიის წარმომადგენლები არიან.

უკრაინის გენერალური პროკურატურის ბოლო მონაცემებით, რუსულ აგრესიას უკვე 145 ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ლუგანსკში ევაკუაცია იწყება

ლუგანსკის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მშვიდობიან მოქალაქეებს ოლქის სასწრაფოდ დატოვებისკენ მოუწოდებს. სერგეი გაიდაის თქმით, უმთავრესი ამოცანა ამჟამად ოლქიდან მშვიდობიანი მოსახლეობის სასწრაფოდ გაყვანაა, ვიდრე რუსეთი რეგიონის ქალაქების აქტიურ სარაკეტო დაბომბვებს დაიწყებს.

„ყველაფერი, რაც ხდება, საკმაოდ სერიოზულია. მოცდა, ლოდინი — ეს არ ეხება იმ ვითარებას, რომელშიც აღმოვჩნდით. თავშესაფრებში ჯერ კიდევ ბევრი ბავშვია. რატომ? გთხოვთ, გადაჭარბების გარეშე, შეგნებულად მიხვიდეთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებამდე. პასუხი მხოლოდ ერთი უნდა იყოს — წასვლა“, — განაცხადა გაიდაიმ.

ომმა კიდევ ერთი ჟურნალისტი შეიწირა

უკრაინელი ფოტოჟურნალისტი მაქს ლევინი, რომელიც უკრაინაში მიმდინარე ომში გამოცემა hromadske-სთვის მუშაობდა, გარდაცვლილი იპოვეს, — ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

არსებული ცნობებით, ლევინი ადგილობრივმა პოლიციამ პირველ აპრილს კიევის რეგიონის სოფელ გუტა მეჟიგორსკაიას მიდამოებში ხანგრძლივი ძებნის შემდეგ იპოვა.

როგორც ცნობილია, ის თავის არეში მიყენებული ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა. 40 წლის ლევინს ისეთი გამოცემებისა და სააგენტოებისთვის აქვს ნამუშევარი, როგორიც უკრაინული „უნიანი“, ასევე საერთაშორისო Associated Press და Reuters -ია.

უკრაინაში ცნობილი ლიეტუველი რეჟისორი მოკლეს

დოკუმენტური ფილმების ლიეტუველი რეჟისორი, მანტას კვედარავიჩუსი მარიუპოლში მოკლეს. ის ალყაში მოქცეული საპორტო ქალაქში არსებულ ვითარებაზე დოკუმენტურ ფილმს იღებდა, — ინფორმაციას Reuters-ი სხვა მედიასაშუალებებზე დაყრდნობით ავრცელებს.

რეჟისორი, სხვა ნამუშევრებთან ერთად, ცნობილი იყო კონფლიქტურ ზონაში გადაღებული დოკუმენტური ფილმით „მარიუპოლი“, რომლის პრემიერაც 2016 წელს, ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა. კვედარავიჩუსი 45 წლის იყო.

არახამია უკრაინულ ნატოს ქმნის!

უკრაინის მმართველი პარტიის, „ხალხის მსახურის“ ლიდერის, დავით არახამიას განცხადებით, უკრაინას სურს მიიღოს უსაფრთხოების გარანტიები სხვა ქვეყნებისგან და ამით შექმნას „საკუთარი უკრაინული ნატო“. არახამიას თქმით, ნატოს სამი ქვეყანა — თურქეთი, გერმანია და იტალია უკვე დათანხმდნენ უკრაინისთვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემაზე, თუმცა, მისივე თქმით, უკრაინისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ შეთანხმებას ბრიტანეთი და შეერთებული შტატებიც შეუერთდნენ, რადგან „მათ გარეშე ასეთი შეთანხმების ხელმოწერას აზრი არ ექნება“.

არახამიას განცხადებით, ამ ორი ქვეყნის გარდა, უკრაინისთვის ასევე მნიშვნელოვანია საფრანგეთის და ჩინეთის მონაწილეობა.

პუტინს 9 მაისის აღლუმის ჩატარება სურს

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი საკუთარ არმიასთან ერთად ცდილობს, 9 მაისამდე „რაიმე გამარჯვება“ მაინც მოიპოვოს უკრაინაში და მოსკოვში ტრადიციული აღლუმი ჩაატაროს, — ინფორმაციას „სიენენი“ ავრცელებს. როგორც მედია წერს, რამდენიმე ამერიკელი მაღალჩინოსნის ვერსიით, რომლებიც დაზვერვის მონაცემებს ეყრდნობიან, რუსეთის პრეზიდენტმა ომის სტრატეგია შეცვალა და ორიენტირებულია დონბასისა და უკრაინის აღმოსავლეთით სხვა რეგიონების დაკავებაზე. ამერიკელი მაღალჩინოსნების ვერსიით, ეს პუტინმა 9 მაისამდე უნდა გააკეთოს.

„პუტინი 9 მაისს გამარჯვების აღლუმს ჩაატარებს, მიუხედავად ომის მდგომარეობისა და მოლაპარაკებების პროცესისა. მეორე მხრივ, გამარჯვების აღლუმი რა ტექნიკით და ჯარით?“, — განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა „სიენენთან“ საუბრისას.

ზელენსკის ნეიტრალიტეტი ომის დაწყებამდე ურჩიეს!..

ამერიკულმა გამოცემა „უოლ სტრიტ ჯორნალმა“ უკრაინაში ომის დაწყებამდე ევროკავშირს, კიევსა და მოსკოვს შორის გამართული მოლაპარაკებების დეტალები გაასაჯაროვა.

როგორც გამოცემა წერს, **15 თებერვალს გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა შეხვედრა გამართა მოსკოვში ვლადიმირ პუტინთან. გამოცემის ცნობით, შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა უკმაყოფილება ნატოს მიმართ, რომ ალიანსმა რუსეთთან მოსაზღვრე ქვეყნებში იარაღის სისტემები განათავსა და ასევე გერმანიის კანცლერს განუცხადა, რომ რუსები, უკრაინელები და ბელარუსები ერთი ხალხია, რომელთა გაყოფა შემთხვევით, პოლიტიკური ჩარევით მოხდა. „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ინფორმაციით, თავის მხრივ, გერმანიის კანცლერმა პუტინს განუცხადა, რომ საერთაშორისო წესრიგი ეფუძნება არსებული საზღვრების აღიარებას, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ და როდის დადგინდა ისინი.**



გერმანიის კანცლერმა კონფლიქტის არიდება ბოლოს 19 თებერვალს მიუნხენის კონფერენციაზე სცადა. ოლაფ შოლცმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიუნხენში განუცხადა, რომ უკრაინამ უარი უნდა თქვას ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, ნატოს წევრობაზე და გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი, დასავლეთსა და რუსეთს შორის დადებული ევროპული უსაფრთხოების შეთანხმების ფარგლებში. ამ შეთანხმებისთვის ხელი უნდა მოეწერათ ვლადიმერ პუტინს და ჯო ბაიდენს, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფდნენ უკრაინის უსაფრთხოებას.

ზელენსკიმ უპასუხა შოლცს, რომ პუტინის ნდობა არ შეიძლებოდა ასეთი შეთანხმების დაცვის საკითხში და რომ უკრაინელების უმეტესობას სურდა ქვეყნის ნატოში გაწევრება. როგორც ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, უკრაინის პრეზიდენტის პასუხმა გერმანიის ოფიციალური პირების შეშფოთება გამოიწვია, რადგან მშვიდობის შენარჩუნების შანსები მცირდებოდა. გამოცემა წერს, რომ ამის მიუხედავად, მათ სჯეროდათ, რომ პუტინი გააგრძელებდა სამხედრო ზეწოლას უკრაინის საზღვრებზე, რათა მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკის დასუსტება და შემდეგ მოეხდინა ოკუპაცია, თუმცა, პუტინმა რადიკალური ვარიანტი აირჩია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 6 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0918; ევრო - 3.4195;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0629;
100 რუბლი - 3.7211; თურქული ლირა - 0.2104;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8821;
1000 სომხური დრამი - 6.4004.

ამინდი 4 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+3,	დღე +25
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+8,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე +14
თბილისი:	ღამე	+7,	დღე +23

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge